წელსა, 1889 № 23 & 24 1—30 დეკემბერსა.

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება საქართველოს საეკლესიოსა.

ანგარიში

თბილისის სასულიერო სემინარიასთან დაარსებული საძველ-ბოძმედო «ძმობისა».

თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებული ძმობა იმყოფება მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მზრუნველობის ქვეშე. ძმობა დაარსებულია 30 ნოემბერს 1880 წელსა, წმ. მოციქულის ანდრია პირველ წოდებულის დღესასწაულის დღეს, როდესაც სემინარია დღესასწაულობს თავის ტაძრის დღეობას. ეს ძმობა დაარსდა მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსად ყოფილის იოანიკესაგან, რომელიც დღესმოსკოვის მიტროპოლიტია. ძმობა დაარსდა, რათა მან შემწეობა აღმოუჩინოს სემინარიის ულარიბეს მოწაფეებს. სულ ცხრა წელიწადია, რაც ეს ძმობა არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მან დიდი სამსახური გაუწია თავისი ნივთიერის შემწეობით თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებს, რომელთაც შეიძლეს სემინარიაში სწავლის დასრულება. ამ უკანასკნელ წლებში სემინარიის ღარიბ მოწაფეთა რიცხვმა თან და თან იმატა, რადგან იმატა მოსწავლეთა რიცხვმაც სემინარიაში. 1867 წელში თბილისის სასულიერო სემინარიაში შტატით უნდა ყოფილიყო 187 მოწაფე, მათში 101 მოწაფისათვის იყო ადგილი პანსიონში სახელმწიფო ხარჯით; დღეს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობს 450 მოწაფე, მაგრამ სახელმწიფო სტიპენდიების რიცხვს (101) არ მომატებია;—სემინარიის 40—60 მოწაფის გარდა დანარჩენი ყველანი საჭიროებენ გარეშე შემწეობას. ეს შემწეობა შეუძლია აღმოუჩინოს მოწაფეებს მხოლოდ ხსენებულმა ძმობამ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ძმობამაც ვერ შესძლო ყველა ღარიბ მოწაფეთა დაკმაყოფილება საშუალების უმექონელობათა გამო, თუმცა ძმობას არ დაუშურავს თავის ღონე, რომ ყველა ღარიბ მოწაფეებისათვის აღმოეჩინა შემწეობა. ერთად ერთი წყარო, რომლის მეოხებით ძმობა დახმარებას უწევს ღარიბ მოწაფეთა, არის თვით მნებლობითი შეწირულებანი და წევრთაგან შემოტანილი ფულები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა შეწირულებაც ამ საანგარიშო წელში ძალიან ცოტა შემოვიდა. ამის გამო ძმობამ ვერ შესძლო დაკმაყოფილება ყველა ღარიბ მოწაფეთა რიცხვის მეოთხედი ნაწილისაც. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა დაემართებოდათ სემინარიის ღარიბ მოწაფ ებს, რომ მის მაღალ ყოველად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს მთავარ-ეპისკოპოს არ აღმოეჩინა დახმარება ძმობისათვის. გარდა იმ 150 მანეთისა, რომელიც მათმა მეუფებამ თავის საშუალებათაგან შესწირა ძმობას, თანახმად სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტის ნიკოლოზის წინადადებისა მებრ, მათმა მეუფებამ დანიშნა ღარიბ მოწაფეთა შესაწევნელად 400 მ., რომელიც სემინარიის სამმართველოს ფულებიდამ დანიშნული იყო სემინარიის ტაძრის შესაკეთებლად; მასთან მათმა მეუფებამ იშუამდგომლა, რომ «კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების» ფულებისაგან დანიშნულიყო სემინარიის ღარიბ მოწაფეთათვის თბილი ბლუზების და ფეხსაცმელების მოსაპოებლად. ამასთან ერთად, თანახმად სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის ნიკოლოზის მოხსენებისა

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ მოუმატა სახელმწიფო სტიპენდიების რიცხვს 14 ადგილი. აგრეთვე მიღებულ იქმნა სხვა საშუალებანიც ღარიბ მოწაფეთა დასაკმაყოფილებლად,—მაგალითად: სემინარიის 7 მოწაფეს მიეცა უსასყიდლოდ ბინა სემინარიაში და სადილი 4 მანეთად თვეში, ხოლო 8 მოწაფეს ბინა სემინარიასთან და მასთან უფლება ესარგებლათ მით, რაც მორჩებოდათ სახელმწიფო ხარჯზე მყოფ მოწაფეებს.—სემინარიის რექტორმა იშუამდგომლა იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპარქიების მღვდელმთავრების წინაშე, რომ მათ მეუფებათ მოემატებიათ სახელმწიფო სტიპენდიების რიცხვისათვის სემინარიაში ამ ეპარქიათა საშუალებით და სხვანი. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ვერც ეს საშუალებანი და ზომანი აკმაყოფილებენ ღარიბ მოწაფეთა მოთხოვნილებას, განსაკუთრებით იმერლებისას, გურულებისას და მეგრელებისას. ამის გამო სემინარიის ახალმა რექტორმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება ძმობის საშუალებათა გადიდებას: მისი წინადადებისა მებრ დაიდებულ იქმნა ყულაბი სემინარიაში შესავალ კარებთან; მ. რექტორის წინადადებისა მებრ ძმობის კომიტეტი მიიქცა თხოვნით საქართველოს ყველა მართლ-მადიდებელ მკვიდრთა და ყველა კეთილ პირთადმი, რომელნიც თანაგრძნობით ეკიდებიან ამისთანა კეთილს და წმიდა საქმეს, როგორიც არის აღზრდა და შენახვა ღარიბ მოწაფეთა. ძმობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ მისი თხოვნა არ ჩაიკლის უნაყოფოდ, და აღმოჩნდებიან ისეთი პირნი, რომელნიც შემწეობას აღმოუჩენენ ასეთ წმიდა და ღვთის საამოვნო საქმეს? მ. რექტორის წინადადებისა მებრ ძმობის კომიტეტმა გადასწყვიტა დაარსოს ძმობასთან ღარიბ მოწაფეთა შესაწევნელად წიგნთ-საცავი, რომელშიაც გაიყიდებიან წიგნები; ამისათვის წინ და წ ნვე კომიტეტი უნდა შეეკრას სასწავლო და სხვა და სხვა წიგნების ავტორებს. თუ ძმობის საშუალებამ ნება მისცა, ძმობის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს შემდეგში უფასოთ დაურიგოს ღარიბ მოწაფეებს სასწავლო წიგნები. ამ წიგნთ-საცავის გამგედ ძმობის კომიტეტმა აღირჩია სემინარიის ძასწავლებელი ნიკოლოზ ვასილის ძე ნიკოლსკი. დადგენილია, რომ მომავალს დიდ მარხვაში გამართონ სასულიერო კონცერტი ძმობის სასარგებლოდ, რაზედაც თავის თანხმობა განაცხადა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ.

ძმობის კომიტეტმა უკანასკნელს თავის კრებაზე 24 ნოემბერს ხსენებული ძმობის ზნეობითი ძრრით ამაღლებისათვის საზოგადოებაში დაადგინა: 1) გააკეთოს ძმობის ბაირახი, რომელიც უნდა დაიდვას სემინარიის ეკკლესიაში და ატარონ ყოველ დიდ შემთხვევებში; აგრეთვე ძმობის წევრთა დასაფლავების დროს; 2) აგრეთვე შემოიღონ ძმობის სანახოვრო წიგნი, რომელშიაც უნდა ჩაიწეროონ სახელები ძმობის ყველა წევრებისა, როგორც გარდაცვალებულთა, ისე ცოცხლებისა და უნდა მოიხსენებოდენ ისინი ყოველთვის სემინარიის ეკკლესიაში, და ერთხელ წელიწადში, ძმობის წლიურ დღესასწაულის წინ შესრულებულ უნდა იქმნეს განსაკუთრებითი წირვა, რომელზედაც უნდა მოხსენებულ იქმნენ ძმობის ყველა გარდაცვალებულნი წევრნი. (წელს ეს წირვა შესრულებულ იქმნა 27 ნოემბერს), ხოლო 30 ნოემბრის წინა დღეს შესრულებულ უნდა იქმნეს პარაკლისი წყლის ყურთხევით ძმობის ცოცხალ წევრთა დღეგრძელობისათვის.

გ ა ს ა გ ვ ლ ი.

ამ საანგარიშო წელში მიეცა შემწეობა ღარიბ მოწაფეთ. იანვრის თთვეში მიეცათ 67 მანეთი შემდეგ მოწაფეთ: მიხ. ჯიბლაძეს 5 მ., მამამთავრიშვილს 5 მ., ახვლედიანს 6 მ., მთვარელოვს 5 მ., ბოლოტაძეს 6 მ., შიშნოვს 5 მ., ტოლორაის 5 მ., ბოიავას 5 მ., ტალაკვაძეს 5 მ., ჩიკაძეს 5 მ., სვანაძეს 5 მ., ფიფშიძეს 5 მ., მაშიკოიშვილს 6 მ. თებერვლის თთვეში მიეცათ: მიხ. ჯიბლაძეს 5 მ., მთვარელოვს 5 მ., მ. ძამამთავრიშვილს 4 მ., ახვლედიანს 4 მ., ბოლოტაძეს 4 მ., ტოლორაიას 5 მ., ბოიავას 3 მ., სვანაძეს 5 მ., და ფიფშიძეს 3 მ., მთლად მიეცათ ამ თვეში 38 მანეთი. მარტში, აპრილში, მაისში და ივნისში მიეცათ იმავე მოწა-

ფეებს ოცოცდა თერამეტი მანეთი თვეში. ᲝᲥტომბერში მიეცა ექვს მოწაფეს და სახელდობრ: ჩიკაძეს 5 მ., Ბრიგორი ᲙᲣტაპის 3 მ., ᲕასილᲐლᲨიბაიას 3 მ., პეტრე Ჩოლოკაძეს 3 მ., Ტროფიმე და ᲙᲝხტა Ბერიძეს 3 მ., და პლატონ Დავითაძეს 3 მანეთი. Ბარდა ყოველ თვიურს შემწეობისა მიეცა მესამე კლასის მოწაფეს ფეხსაცმელისათვის 5 მ., იმავე კლასის მოწაფეს Ჩხაიძეს გზის ფულად 5 მანეთი. ᲛრთᲓროებითად მეოთხე კლასის მოწაფეთ Ვლადიმერ Ბაბისონიას 5 მ., მესამე კლასისას ილარიონ ᲯაᲨს 5 მანეთი. სულხად წაიღეს მოწაფეებმა Ბაბრიჩიძემ 4 მ. და მადულანაძემ 8 მანეთი. ᲫᲛობის კომიტეტის ᲟᲣრნალური დადგენილობისა მებრ 10 ᲝᲥტომბრიდამ ამა 1889 წლისა გარდაეცა სემინარიის სამმართველოს 191 მან. 57 კ. სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დასარიგებლად. ᲐᲛ სახით ამ საანგარიშო წელში დახარჯულია 495 მანეთი და 57 კ.

Შემოსავალი.

როგორც წინა წლებშიაც, ისე ამ საანგარიშო წელში კასაში შემოდიოდა შეწირულებანი სასულიერო და საერო წოდების კერძო პირებისაგან. სასულიერო წოდების პირნი თავიანთ შეწირულებათ აგზავნიდენ ან თვითონ, ან ადგილობით ბლაღოჩინების ხელით. ᲐᲛ საანგარიშო ᲫᲛობის წელში შეწირულებანი შემოვიდა შემდეგ პირთაგან: მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეᲥსარხოსისაგან 150 მ., არქიმანდრიტების: მაკარისაგან 5 მ., Კესარიოსისაგან 5 მ., და ნიკოლოზისაგან 5 მ., დეკანოზებისაგან: ელიავასაგან 12 მან., Არდაზიანისაგან 5 მ,—დეისტ. სტატ. სოვეტ. მელიტონ ᲗომᲐს ძის Ცაგარელისაგან 5 მ., მდივნის ᲘოსებᲚუარსაბის ძის ბალუევისაგან 10 მ., დეისტ. სტატ. სოვეტ. სემენიონკოვისაგან 5 მ., მისი უმაღლესობის პალბინისაგან 5 მ., სემინარიის ინსპექტორის მღვდელ-მონოზანის ნიკანორისაგან 20 მანეთი, სემინარიის მასწავლებლებისაგან: ი. მ. გორტინსკისაგან 5 მ., დ. გ. Ბერძენოვისაგან 5 მ., ა. ნ. Ხმელევსკისაგან 5 მ., კ. სლავინსკისაგან 5 მ., მ. ა. დობრონრავოვისაგან 5 მ., ვ. ნ. ივანოვისაგან 5 მ., ა. ა. იაროსლავისაგან 5 მ., ვ. ი. Ბელიავისაგან 5 მ., ი. პ. ალᲑოვისაგან 5 მ., თ. დ. Ჭორდანიასაგან 5 მ., ი. ი. რუმიანცევისაგან 5 მ., ვ. ი. აუᲨევისაგან 5 მ., ნ. დ. მახათაძისაგან 5 მ., ნ. ვ. ნიკოლსკისაგან 5 მ., პ. ლ. სტაროდუᲑცევისაგან 3 მ., პ. ი. სობოლევისაგან 3 მ., ვ. ი. სოკოლოვისაგან ხუთი მანეთი; მეტეხის ციხის ეკკლესიის მღვდლის იოანნე ᲚᲝᲛᲝᲣᲠისაგან 5 მ., დიდუბის ეკკლესიის მღვდლის Ვასილი Ზედგენიძისაგან 11 მანეთი,—ეკატერინე ᲐᲜᲓᲠიას ასულის სუიტალკისაგან 5 მ., ᲑლაღოᲩინის დეკანოზის დ. ᲚამᲑაᲨიძისაგან ატნოᲨენიით 22 ნოემᲑრიდამ 1889 წ. № 270 25 მანეთი, შემდეგ პირთაგან შემოწირული: დეკანოზის დ. ᲚამᲑაᲨიძისაგან 5 მ., მღვდლებისაგან: ი. ᲮუსკიᲔაძისაგან 5 მ., ანდ. Ბერაძისაგან 5 მ., Ლეონტი მაᲭავარიანისაგან 5 მ., და დავით Ბგეველესიანისაგან 5 მ., საწყევრო შემოსატანი ფული 1889 წ. ᲑლაღოᲩინის იულიან აᲑესაძისაგან ატნოᲨენიით 7 იანვრიდამ 1889 წ. № 3 შემოვიდა 4 მანეთი; ᲑლაღოᲩინის მღვდლის სოლომონ ᲨომᲘეისაგან საწყევრო ფული 5 მ,—მღვდლის ნიკ. ლიუᲑომუდროვისაგან ატნოᲨენიით 16 იანვრიდამ 1889 წ. № 7 მიღებულია 3 მ., ᲑლაღოᲩინის სიმონ Ლიაძისაგან ატნოᲨენიით 19 იანვრიდამ 1889 წ № 12 მისდამი რწმუნებული ეკკლესიების კრებულთაგან შემოწირული ფული 4 მ. 50 კაპ.; ᲑლაღოᲩინის თეოხარისაგან ატნომენიით 23 იანვრიდამ № 16 მიღებულია 11 მანეთი და 29 იანვრიდგან № 30 —3 მ., ᲑლაღოᲩინის მღვდლის Ვეფხვაძის ატნოᲨენიით 28 იანვრიდგან 1889 წ. № 9 მიღებულია 10 მან., 20 კაპ. ᲑლაღოᲩინის დეკანოზის მეუნარგიასაგან ატნოᲨენიით 20 სექტემᲑრიდამ 1889 წ. № 346 მიღებულია 5 მ., ამ სახით ზემოთ აღნიშნულ პირთაგან ამ საანგარიშო წელში შემოვიდა 404 მ., და 70 კაპ. გარდა ამისა შემოვიდა სემინარიის სარდაფის მოიჯარადრისაგან მიხ. დავიდოვისაგან 18 მ., ᲫᲛობის ყულაბისაგან რომელიც ინახება სემინარიის ტაძარში, შემოვიდა 62 მან. და 57 კაპ. სემინარიის ინსპექტორმა მღვდელ, მონოზანმა ნიკანორმა წარმოადგინა შაგირდებისაგან დაᲑრუნებული ფულები, რომელიც მათ წაღებული Ჰქონდათ სესხად ᲫᲛობის კასისაგან 5 მ., და მეორე აღმოსავლეთის სესხის Ბილეთის № 186954 ორი კუპონის სარგებელი 4 მ., 74 კაპ. მთლად შემოვიდა ამ საანგარიშო წელში 495 მანეთი და 1 კაპ. წინა წელთან შედარებით შემოვიდა 734 მ. და 92 კაპ. ნაკლები. 1888 წ. დარჩა პირველი იანვრისათვის 1889 წ. ნაღდად 189 მან. 21 კ. ᲮᲚᲝᲚ Ბილეთებით 1600 მანეთი. მთლად წარსული წლისაგან დარჩენილი ფულებით შემოსავალში ნაღდი ფული იყო სულ 684 მან. 22 კაპ. ამ ფულებიდგან ამ საანგარიშო წელში დაიხარჯა 495 მან. 57 კ. ამის შემდეგ პირველი დეკემᲑრისათვის 1889 წლისა რჩება ნაღდი 188 მ. 65 კ., ᲮᲚᲝᲚ Ბილეთებით 1600 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი საპატიო წევრნი «ძმობისა» 1889 წელში *).

მისი ბრწყინვალება თავადი ალექსანდრე მიხაილის ძე დონდუკოვ კორსაკოვი.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, იოანნიკე მიტროპოლიტი მოსკოვისა; მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პალლადი, ექსარხოსი საქართველოისა; მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პავლე, მთავარ-ეპისკოპოსი ყაზანისა; მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მისაილი, ეპისკოპოსი ორლოვისა, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ბაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსანდრე, ეპისკოპოსი ბორისა, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გრიგორი, ეპისკოპოსი ბურია-სამეგრელოისა, მისი აღმატებულება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტაინ. სოვეტ. კირილე პეტრეს ძე იანოვსკი.

წევრნი საქართველო იმერეთის სინოდალური კანტორისა არქიმანდრიტნი: მაკარი და კესარიოსი, უმთავრესი მღვდელი კავკასიის ჯარისა დეკანოზი სტეფანე გუმილევსკი და მღვდელი იესე ხუსკივაძე.

ამ საანგარიშო წელში ანდრიას ძმობის გამგე კომიტეტში ითვლებიან შემდეგნი პირნი: თავ-მჯდომარე კომიტეტისა, მ. რექტორი სემინარიისა, არქიმანდრიტი პაისი პირველ ივლისამდე, ხოლო პირველ აგვისტოდგან ახალი რექტორი სემინარიისა არქიმანდრიტი ნიკოლოზი, წევრნი არქიმანდრიტნი: მაკარი, კესარიოსი და ნიკოლოზი, სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი ნიკანორი და ხაზინადარი ძმობისა მღვდელი სოლომონ შოშიევი.

განიხილა რა თავის საშუალებანი უკანასკნელ წლებისა, ძმობის კომიტეტმა დაინახა, რომ ყველაზე უფრო ბევრი უშრომიათ და ნივთიერი შემწეობა აღმოუჩენიათ ძმობისათვის შემდეგ პირთ: დეკანოზს ნიკოლოზ არდაზიანს, დეკანოზს გრიგორი პეტრიეს—სიონის სობოროს კანდელაკს, ბლაღოჩინს მღვდელს ილია იაკიმოვს, მესტამბე ხელაძეს, რომელსაც დაუბეჭდავს უფასოდ ძმობის ანგარიშები რამოდენიმე წლისა. და ბოლოს, გარდა ძმობის საშუალებათა გამრავლებისა, დეკანოზს დავით ლამბაშიძეს და ბლაღოჩინს მღვდელს ს. შოშიევს, რომელთაცალმოუჩენიათ განსაკუთრებითი შემწეობა ძმობის სასარგებლოდ, პირველს უბეჭდია უფასოდ ცნობები ძმობაზე, ხოლო მეორეს უფასოდ უსრულებია ორს წელიწადს ძმობის საქმის მწარმოებლის და ხაზინადრის თანამდებობა; ამისათვის ძმობის გამგე კომიტეტი თავის მოვალეობად რაცხს სთხოვოს მის ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს გადასცეს დეკანოზს დავით ლამბაშიძეს და მღვდელს სოლომონ შოშიევს თავისი მწყემს მთავრული ლოცვა-კურთხევა დამსახურებითი სიებში ჩაწერით, ხოლო ძმობის ყველა სხვა პირთ გამოუცხადოს თავის მადლობა თანაგრძნობისა და ნივთიერის შემწეობისათვის ძმობის სასარგებლოდ. ეს ანგარიში დაიბეჭდოს ჟურნალს მწყემსში.

რექტორი სემინარიისა არქიმანდრიტი ნიკოლოზი.
არქიმანდრიტი მაკარი,
სემინარიის ინსპექ. მღვდელ-მონაზონი ნიკანორი,
ხაზინადარი ძმობისა მღვდელი სოლომონ შოშიევი,
საქმის მწარმოებელი ძმობისა მღვ. მათე. მონასელიძე.

*) ძმობის წესდების მე 6 § ძალით პირნი, რომელთაც ერთ დროებითად მემოიტანეს ძმობის სასარგებლოდ არა ნაკლებ 50 მანეთისა, ითვლებიან ძმობის მუდმივ საპატიო წევრებად; ხოლო რომელნიც შემოიტანენ წელიწადში არა ნაკლებ 5 მანეთისა, ითვლებიან ნამდვილ წევრებად; დანარჩენი ეთილ-მომქმედნი ძმობისა იწოდებიან წევრებად მოშურნეებად.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისაგან.

კეთილშობილის უწყების განხილვის შემდეგ იმერეთის ეპარქიის საბჭოლოჩინოების ეკლესიათა: მღვდლის ბესარიონ ჩხენკელის (აწ კანდელაკის) და დეკანოზის იოანნე აბაშიძის 1887 წლისა, სხვათა შორის აღმოჩნდა, რომ სამტრედიის ეკლესიის მღვდელს ქებულაძეს ორი სახელი აქვს: ნიკოლოზ და ალმასხან, საირმის ეკლესიის მედავითნეს მესხს აგრეთვე აქვს ორი სახელი: გერშან და გარსევან, ამისათვის სინოდალური კონტორის განაჩენით 31 მაისს და 11 აგვ. 1887 წ. დადგენილია: მღვდელს ქებულაძეს და მედავითნეს მესხს ჯარიმად გადახდეს — პირველს სამი მანეთი და მეორეს ერთი მანეთი, ფიცხლად აღეკრძალოს მათ რაიმე სხვა სახელის ტარება, მათ გარდა, რომელნიც დაარქვეს მათ ნათლის-ღების დროს.

1889 წელსა, № 23 & 24 1-30 დეკემბერსა.

მწყემსი

1883-1889

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის 1-ს და 16-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თთვით . . .	5 მან.	12 თთვით . . .	6 მან.
6 — . . .	3 —	6 — . . .	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Квирилы, Въ контору редакціи „Мцкемси“* (*Пастырь*).

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდამ.

სემინარიის ტაძრის დღეობა და ამ სემინარიასთან არსებული «ძმობის» წლიური აქტი.

აგერ სამოცდა ცამეტი წელიწადია, რაც თბილისის სასულიერო სემინარია არსებობს, მაგრამ დღე მდის არ გვახსოვს, რომ მას თავისი ტაძრის დღეობა ისეთი დიდებით ედღესასწაულოს, როგორც ეს მოხდა წელს წმიდა მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის დღეს, 30 ნოემბერს. სემინარიის ახალმა რექტორმა, პატივცემულმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა ყოველივე ღონე იხმარა, რომ ეს დღე საკანგებოთ ედღესასწაულათ. 29 ნოემბერს სემინარიის ეკკლესიაში შესრულებულ იქმნა მწუხრი ლამისთევის ცისკრით. ლოცვაზე დაესწრო მრავალი მლოცველები. ლოცვის გათავების შემდეგ სემინარიის ერთმა მოწაფემ წარმოსთქვა სიტყვა ხსენებული დღესასწაულის მნიშვნელობაზე. ლოცვაზე ვალობდა ორი გუნდი მგალობელთა რუსულად და ქართულად. ხან სემინარიის ყველა მოწაფენი გალობდენ ერთად.

29 ნოემბერს ყოველივე მოწყობილი იყო სამლოცველოების და სხვა სტუმრების მისაღებად. შესავალი კიბე ეკკლესიის კარებამდისინ მოართული იყო სხვა-და-სხვა მცენარეებით. შესავალი ძარა კარებიდგან ეკკლესიის ამბიონამდის დაგებული იყო წითელი მაუდი. შესაკრებელი ხალაც ძშვენიერად და ხელოვნურად იყო მოართული: აღმოსავლეთის მხრით კედელზე ეკიდა დიდი სურათი ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცა და მემკვიდრისა. ეს სურათები მოართულნი იყვნენ სხვა-და-სხვა მცენარეებით. სურათების ზემოთ დაფნის ფოთლებით იყო დაწერილი: «ღმერთო, დაიცავ მეფე». ჩრდილოეთის მხრით კედელზე ეკიდა საქართველოში ყოფილ ექსარხოსების სურათები, რომელთა ძორის იყო აგრეთვე სურათი ამა სემინარიის დამაარსებელის საქართველოს პირველი რუსის ექსარხოსის Иеროფლექტესი.

30 ნოემბერს, დილის ცხრა საათზედ შეიგრიბა ქალაქის უმაღლესი სამღვდელოება, ოთხ ხნის შემდეგ მობრძანდენ ეპისკოპოსები გორისა ალექსანდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ალავერდისა ბესარიონი. მპისკოპოსები და შეკრებილი სამღვდელოება შეიმოსა სადღესასწაულო შესამოსლებით. სწორეთ ათი საათი იყო, როდესაც მობრძანდა მაღალ ყოველად სამღვდელო ექსარხოსი საქართველოისა, მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი. რექტორი სემინარიისა და სამღვდელოება მგალობლებით მიეგებენ მათ მეუფეებას შესავალ კარებშივე და იქიდამ გალობით წაუძღვენ ეკკლესიაში. შემოსვის გათავების შემდეგ დაწყებულ იქმნა ქაენი, რომელიც წაიკითხა ერთმა სემინარიელმა ქართულს ენაზედ. წირვა შესრულდა ჩვეულებრივ იმ სასოებით, კრძალვით და ტკბილი გრძნობით, რომლითაც ღრმად პატივცემულ არქიეპისკოპოსს პალლადის აღტაცებაში მოყავს ხოლმე ყველა წირვაზედ დამსწრენი განურჩველად წოდებისა და, თითქმის, სარწმუნოებისა. წირვაზედ გალობდა ორი გუნდი მგალობელთა რუსულად და ქართულად. ხანდისხან ჰგალობდენ სემინარიის ყველა შაგირდები ერთად როგორც რუსულად, ისე ქართულად. რუსულ მგალობელთა გუნდს აგალობებ და ექსარხოსის ხოროს ლოტბარი. ქართულად აგალობებდა თავადი ნაკაშიძე. ბანიცადენის დროს დღესასწაულის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა მამა ჩეტირკინმა. წირვის გათავების შემდეგ გადახდილ იყო პარაკლისი ანდრია მოციქულისადმი. პარაკლისის გადახდაში მრავალმა სამღვდელოებამ მიიღო მონაწილეობა. პარაკლისის გათავების შემდეგ მაღალ ყოველად სამღვდელო მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი მანტიით წაბრძანდა შესაკრებელ ზალაში, სადაც შეკრებილნი იყვნენ სემინარიის ყველა შეგირდები, მასწავლებლები და სხვ. იგალობეს მგალობლებმა: «დღეს მადლმან სულისა წმიდისამან შეგეკრიბნა ჩვენ». ბალობის გათავების შემდეგ მთავარ-ეპისკოპოსმა აკურთხა შეკრებილი საზოგადოება და გამოაცხადა კრება გახსნილად. ყველამ თავისი ადგილები დაიკავა. მგალობელთა ორმა გუნდმა ექსარხოსისა და სემინარიისამ ერთად იგალობეს «აღვიდა უფალი» და იგალობეს მშვენივრად. ბალობის გათავების შემდეგ კათედრაზე აღვიდა მღვდელ მონაზონი ნიკანორი და წაიკითხა მოკლე ანგარიში სემინარიის მდგომარეობაზედ 188⁸/₉ წლისა.

ჩვენი სამღვდელოებისათვის ყოველივე ცნობა მის ერთად ერთ ძვირფას სემინარიაზედ საინტერესოა და ამისათვის ამავე ნომერში ვბეჭდავთ ამ მოკლე ანგარიშს.

როდესაც ნიკანორმა დაასრულა სემინარიის ანგარიშის კითხვა, კათედრაზე ავიდა მამა რექტორი სემინარიისა, არქიმანდრიტი ნიკოლოზი და თავისი და მთელი სემინარიის მასწავლებელთა სახელით მადლობა შესწირა მაღალ ყოველად სამღვდელოს, საქართველოს ექსარხოსს, არქიეპისკოპოსს პალლადის მისი მამობრივი ზნრუნვისათვის სემინარიზედ. თავის სიტყვაში, სხვათა შორის, მამა რექტორმა მშვენივრად დახატა კეთილი მწყემსებრივი სამსახური მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობისა პეტერბურლის, ვოლოგდის, ტამბოვის, რიაზანის და ყაზანის ეპარქიებში, სადაც საუკუნო მოსახსენებლად არიან მისგან დაარსებულნი ვაჟთა და ქალთა სასწავლებელნი და სხვა-და-სხვა დაწესებულებანი და სადაც სამღვდელოება და საზოგადოება დიდის სიყვარულით მოიგონებენ მათ მეუფეებას. რაც შეეხება იმ დიდი სამწყსოის სიყვარულს, განაგრძო რექტორმა, რომელიც ღვთის განგებამ და ხელმწიფე იმპერატორმა მოგანიჭა თქვენ სამმართავად, ეს ცხადათ დამტკიცდა მთელი საზოგადოებისაგან თქვენდამი კეერთხის მორთმევის დროს. ისურვა რა ყოველი კეთილი, რექტორმა მადლობა შესწირა მათ მეუფეებას განმეორებით, ჩამოვიდა კათედრიდამ კურთხევის მისაღებად. მაღალ ყოველად სამღვდელომ, საქართველოს ექსარხოსმა, არქიეპისკოპოსმა პალლადიმ გამოუცხადა რექტორს მადლობა და ლოცვა კურთხევა გადასცა მისი მგრძნობიარე სიტყვისათვის, შემდეგ აიღო მაცხოვრის ხატი იმ სახისა, რომელითაც იგი აკურთხევს ხოლმე ყრმებს და აკურთხა მით მთელი სემინარია, შეეეედრა მაცხოვარს და ისურვა სემინარიისათვის ყოველივე კეთილი, მშვიდობა, მყუდროება, ჭეშმარიტი სწავლა და მეცნიერება და ყოველსა შინა კეთილ-წარმატება. მათი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის გულით და გრძნობით წარმოთქმულმა კეთილმა სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა მრავალნი. შემდეგ ამისა მგალობელთა ორმა გუნდმა ექსარხოსისამ და სემინარიისამ იგალობეს «ვინ არს ღმერთი დიდ».

ბალობის დასრულების შემდეგ კათედრაზე ავიდა ქალაქის სამღვდელოების ბლაღოჩინი მამა სოლომონ შოშიევი და წაიკითხა წმიდა ანდრიას სახელობაზედ დაარსებული სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე «ძმობის» წლის ანგარიში, რომელიც მთლად დაბეჭდილია ჩვენის გამოცემის ამავე ნომრის ოფიციალურ ნაწილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ მკალობელთა იგალობეს: «დღეგრძელ იყავ, ჩვენო მეფე!» ტკბილი გალობა, შედგენილი მათი იმპერატორებით დიდებულებათა უავგუსტოესის სახლობის სასწაულებრივ გადარჩენის გამო 17 ოქტომბერს 1888 წელსა. გალობის დასრულების შემდეგ კათედრაზე ავიდა სემინარიის მასწავლებელი ბ. ბელიაევი და წაკითხა წერილი ზნეობრივ განვითარებაზედ. წერილი წაიკითხა ცოცხლად და გრძნობით. ამის შემდეგ მგალობლებმა კვალადვე იგალობეს: «დიდება მაღალთა შინა მხესა მაღალსა». მალობის დასრულების შემდეგ დაურიგდა საჩუქრები წიგნებით და ქებითი ფურცლებით კარგი სწავლისა და ყოფაქცევისათვის სემინარიის ზოგიერთ შაგირდებს.

ჯილდოს დარიგების შემდეგ სემინარიელებმა იგალობეს სხვა და-სხვა ქართული საკალობლები. ბოლოს ყველამ ერთად იგალობეს: «ღმერთო, დაიცვენ მეფე!» დასასრულ იგალობეს «ღირს არს ჭეშმარიტად». მათმა მეუფებამ აკურთხა კრება და რექტორის სახლშიდ შებრძანდა. აქტის გათავების შემდეგ მამა სემინარიის სექტორმა, არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა სადილზე მიიწვია მათი მეუფება მაღალ ყოვლად სამღვდელო პალლადი, სამღვდელობა, სემინარიის მასწავლებლები და სხვა მრავალი სამღვდელო და საერო პირნი. სადილზე ყველამ მშვენიერი დრო გაატარა, შემდეგ გულითადი მადლობა შესწირეს პატიცემულს და საყვარელს დარბაისელ და მოხერხებულს მასპინძელს პორ-ღვინისა და პატივისცემისათვის და საღამოის ხუთ საათზედ სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.

ორიოდე სიტყვა ჩვენს ინტელიგენციაზედ.

არ შეგვიძლია მწუხარებით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამისთანა მშვენიერ დღესასწაულობათა დროს ჩვენი, ესრეთ წოდებული, ინტელიგენცია, ქართველთა საერო საზოგადოება არ ესწრება ხოლმე და არც ამ დღეს დაესწრო იგი, საშწუხაროდ, თავიანთ ერთად ერთ სასულიერო სემინარიის დღესასწაულობას და არ დაესწრო იგი და არ შეიტყო, თუ როგორ მიდის სემინარიაში ჩვენ მოშიაელ სამღვდელო პირთა სწავლა-განათლება, არ ისურვა თვალ და თვალ ენახა და შეეტყო, თუ რაში ეჭირებათ დახმარება და ყურისგდება სემინარიის მოწაფეთ. ნუ თუ ჩვენი ქართველი საზოგადოება ისე დაძაბუნდა, რომ ყურადღებას აღარ აქცევს მათი სამღვდელოების საქმეებს და მათთვის სულ ერთია, როგორი მღვდლებიც უნდა ჰყავდეს? რომ ეს ასე იყოს, მაშინ ჩვენ აღარაფერს აღარ ვიტყოდით და აღარც არაფერს დავეძებდით გარდა მწუხარებისა. მაგრამ არა. როდესაც საქმე ჩვენს განათლებულ ინტელიგენციაზე მივარდება, ეს უკანასკნელი მაშინ თავის თავს გამოსაჩენად მოყვება სიტყვების რახუნს და საქმის კი სრულიად არა გაგებარა. ჩვენ კარგათ ვიცნობთ ერთ დიდად საპატიო ქართველს, რომელიც წერილობით უმტკიცებდა უმაღლესი მთავრობის ერთ პირს, რომ თბილისის სემინარიას დღიდგან მისი დაარსებისა ერთი რიგიანი მღვდელი და მოსამსახურე კაცი არ მიუცია საზოგადოებისათვისო. ამას იტყვის მხოლოდ ის, ვინც ყველაფერში დამყარებულია მარტო საბინინის მოთხრობაზე და მოსაზრებაზედ. მ. საბინინი ხომ ყოველთვის და ყველას იმას უმტკიცებს, რომ «არა არს ღმერთი თვინიერ ღვთისა და ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი მისი არის საბინინი»... სამწუხაროა ჭეშმარიტად, ასე უსამართლოდ და გაუგებლად ასეთი უსაფუძვლო აზრის შედგენა ისეთ სასწავლებელზედ, რომელსაც ყველა სასწავლებელზედ უმეტესი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოებასთან. ვინ მოსთვლის, თუ ამ სამოცდა ცამეტი წლის განმავლობაში რამოდენი კეთილი მუშაკი გამოუზრდია და ჩაუბარებია ჩვენს სემინარიას საზოგადოებისათვის. რა იცის ჩვენს ქალაქებში მცხოვრებმა ინტელიგენციამ, თუ რა შრომაში და რა ვაებაში ატარებენ სემინარიელები ცხოვრებას მიყრუებულ სოფლებში. რა იცის ამ ინტელიგენციამ სემინარიელი მღვდლების თავგანწირული სამსახურისა ხალხის უმეცრებასა და ამაოდ-მორწმუნეობასთან? ხშირად ამბობენ: «გვიჩვენეთ, რა შესანიშნავი ჩაიდინეს, რა სამსახური გაუწიეს მამულს და საზოგადოებას სემინარიაში ნასწავლმა მღვდლებმაო? აბა რა განათლება შეიტანეს მათ ჩვენს ხალხში, როდესაც სხვა და სხვა ამაოდ მორწმუნეობათა და მავნებელ ჩვეულებათა ისე მტკიცედ აქვსთ ხალხში ფესვი გადგმული, როგორც ასი წლის წინათო»... ჩვენი უბედურება ის არის, რომ რასაც თვალით არ დავინახავთ, არ გვრწამს, არ გვჯერა და არც ვიცნობთ და საქმის რიგიანად გამოკვლევასაც არ ვეძებთ. მართალია ჩვენს სემინარიელ მღვდლებს ყარსი და სხ. ციხეები არ აუღიათ, თათართა და სპარსეთთა ჯარები არ დაუმორჩილებიათ და არ დაუტყვევებიათ, მაგრამ თავიანთ მამულისათვის მათ არა ნაკლები

. . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახური გაუწევიათ ზოგიერთ მხედართ გენარლებზედ, რომელნიც დატვირთულნი არიან ჯილდოებით და წითელი ლენტებით ამ ციხეების აღებისათვის. თუ დაკვირდებით საქმეს კარგად, ეს ციხეები აღებულია ხალდათებისაგან, რომელთა სამსახური და ღვაწლი საზოგადოების თვალში სრულებით შეუჩნეველი რჩება!...

დაკვირდით, გამოიკვლიეთ, შეიტყეთ და თქვენ დარწმუნდებით, რომ იმოდენი სასარგებლო და ერთგული მოსამსახურე, მუყაითი და ჯაფის ამტანი მუშაკი საქართველოსათვის არც ერთ მის საშუალო სასწავლებელს არ მიუცია, რამოდენიც მიუცია ერთად ერთ სასულიერო სემინარიას. როდესაც სხვა და სხვა საერო უწყებას ნასწავლი კაცები არ ეშოებოდა, მაშინ სემინარია აძლევდა მათ ნასწავლ პირებს. დღესაც, როდესაც ასე გამრავლებულია საერო წოდების საშუალო სასწავლებლები ჩვენში, მრავალს ადგილას უპირატესობას აძლევენ ჯაფასა და შრომაში გაწვრთნილ სემინარიელებს და თითქმის ყველა წოდებაში ხედავთ მათ მოსამსახურეებად. ნუ თუ დღეს ცხადი არ არის ყველასთვის, რომ სიღარიბე და სიღატაკეში ჭირით და ვაებით გაზრდილი სემინარიელი ბევრად უმჯობესად და სასარგებლოდ მსახურებს ფუფუნებით ნაზარდ და მდიდრულად გაზრდილ გიმნაზიელებზეც?

«ამაოდ მორწმუნეობა ვერ მოშალესო ხალხში, განათლება ვერ შეტანესო», ამბობენ... ზოგიერთ ამაოდ-მორწმუნეობას ორი ათასი წელიწადი ებრძვიან, მაგრამ ვერა მოუხერხებიათ რა. გამოტეხილად უნდა სთქვას კაცმა, რომ სამღვდელოების წყალობით მდაბალ ხალხში მრავალი მაინც ამაოდ-მორწმუნეობა მოსპობილა, მაგრამ ამავე დროს ზოგიერთ ამაოდ მორწმუნეობას მტკიცედ გაუდგამს ფესვი თვითონ, ესრედ წოდებულ, ინტელიგენციაში? ის არის სატირალი და სავალალო, რომ ხშირად ჩვენი, ესრეთ წოდებული, ინტელიგენციდამ ერცლდება ცუდი ჩვეულება და უზნეობა სოფლის მდაბალ ხალხში და ეს გარემოება ერთი-ორად უძნელებს მღვდელს თავს სამსახურს. მისი წყალობით არის, რომ ჩვენ ხალხში დღიდამ ქრისტიანობის დაარსებისა არც ერთ ადგილას, ესრეთ წოდებული, სექტანტები და მწვალებლები არ არსებობენ? მისი წყალობით არის, რომ ჩვენი ხალხი ასე მტკიცედ არის დამყარებული თავის სარწმუნოებაზედ, რომ ვერც ერთმა ჩვენში გადმოსახლებულმა სექტანტებმა ერთი კაციც ვერ შეაცდინეს თავის მწვალებლობაზედ? მიტყვით გაბედულად, რომ ყოველივე ეს არის ჩვენს სამღვდელოების წყალობით...

არა; ჩვენი თბილისის სასულიერო სემინარია თავისი ნიადაგი მხრუნველობისა და ზედამხედველობის წყალობით მტკიცედ და საქებურად ასრულებს თავის მოვალეობას. სამოცდა ცამეტი წლის განმავლობაში სიღარიბეში მყოფ სემინარიის ოდენი სასარგებლო მოსანსახურე და ჯაფის ამტანი და პატიოსანი პირები არც ერთ საქართველოს საშუალო სასწავლებელს არ მიუცია ჩვენი საზოგადოებისათვის, თუნცა ამ სასწავლებლებზედ სათითეულოდ ერთი ორად და ერთი სამად მეტი იხარჯებოდა და იხარჯება დღესაც...

მაშ რა მიზეზია, რომ ჩვენი, ესრეთ წოდებული, ინტელიგენცია ასე აბუჩად და ხირებით უყურებს თავის ქვეყნის ერთად ერთ სასულიერო სასწავლებელს, იმ სასწავლებელს, საიდამაც გამოდიან მთი სულიერნი მოძღვარნი, მათი მწყემსნი?.. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა, ჩვენის აზრით, არის ჩვენი საზოგადოების აზრის და ხასიათის დამცირება, დამდაბლება და გულის გაგრილება ყოველ საზოგადო სასარგებლო პატრიოტულ საქმეებზედ. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოება ასე აბუჩად, ასე გულ გრილად ეპყრობა არა მარტო სასულიერო, საეკლესიო საქმეებს. არა; ამისთანავე აპატიას და დაუდევრობას იჩენს იგი ყოველს საერო წოდების საქმეშიდაც.

აი აშკარა ფაქტები. ჩვენში არსებობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ მშვენიერ დაწესებულების კრებაზედ ძლივს მოვიდა კრების შესადგენად კანონიერი რიცხვი წევრთა. რამდენიმე ამ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთ კაპიკი არ შემოუტანიათ, თუმცა მწვავარ-მეძებრების და მიმინოების ხარჯათ წელიწადში სამას-ოთხასი მანეთი ეხარჯებათ და ბანქოს თამაშში წაგებული ფული ხომ სალაპარაკო არ არის! გარდაიცვალა ორი სამი პირი ამ საზოგადოების დამფუძნებელნი, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ ყოველ წლობით ოცი მანეთი შემოეტანათ. ადგილობრივმა გაზეთებმა გამოგვაყრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი პატრიოტობის ქებით. აღმოჩნდა, რომ ნახევარი მილიონი ქონება დაუტოვეს ვიღაცა შორებელ მემკვიდრეებს და სკოლების და სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათა სასარგებლოდ ერთი გახვრეტილი ფარაც არ დატოვეს. ჩვენ ვსთქვით, რომ ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი მარტო გულ-გრილობა არ არის-თქო; ამის მიზეზია ხალხის აზრის და გულის გრძნობათა შეშლა, დამცირება და დამდაბლება. ბინდათ ამაში დარწმუნდეთ? ბამოაცხადეთ, რომ ამა და ამ დღეს და ამა და ამ ადგილას ესე და ეს დედა კაცი იმღერებს და ითამაშებს, ანუ ჭიდაობა იქნებათქო. თუ ჩვენი პატრიოტების ნახვა გინდათ, დანიშნულ ადგილს მიბრძანდით და იქ ნახავთ მათ... ჭეშმარიტად სამწუხაროა... ჭეშმარიტად დიდად დასაფიქრებელია ეს მოვლენა.

აი, ჩვენის აზრით, რით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართველთა თემის ხალხის მოსწავლის რიცხვმა ასე თვალ საჩინოდ დაიწია თითქმის ყველა სასწავლებლებში. რისთვის და ვის უნდა ვემდურიოდეთ, რომ სომეხთ მოსწავლეთა რიცხვი თბილისში თითქმის ყველა სასწავლებლებში მეტია ქართველებისაზედ? მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა არის ჩვენი დაუდევრობა და ჩვენი გაუგებლობა. ამისთანა დროს ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტები გამოდგარან და ერთ ჩხუბს და ალიაქოთს აყენებენ: ვეფხის ტყაოსანი შოთა რუსთაველის ქმნილებაა, თუ სპარსული ცხოვრებიდამ და წყაროებიდამ იხელმძღვანელაო?! ერთი ჭაპან წყვეტით იკვლევენ და ვერ აუხსნიათ კიდევ, თუ ხუთი-ექვსი წლის წინად საქართველოს ხალხს და მეფეებს საჭმელებში ბოზბაში მოსწონდათ, თუ ფლავიო?!..

ბოლოს თქვენ მოგმართავთ სიტყვით, სემინარიის მოწაფენო.

ძარგი შვილი მამის სიქადულიაო, უთქვამს ბრძენს; მაშასადამე თქვენ გადეს წმიდა ვალად დაიკოთ სახელი და პატიეი თქვენ მშობელთა და გაამართლოთ მათი იმედი და სასოება თქვენზედ. ჩვენი სამღვდელოების მომავალი ბედი და იღბალი თქვენს აე-კარგიანობაზედ არის დამოკიდებული და ამიტომ თქვენ ღღესვე უნდა ღრმად ჩაუფიქრდეთ თქვენი მომავალი მოღვაწეობის საგანს და აქედამვე შეუდგეთ თქვენში იმ ზნეობრივ და გონებრივ ძალათა განმტკიცებათ, რომელნიც თქვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ ღირსეულად აღმართოთ დროშა თქვენის მაღალის მოწოდებისა თქვენის მოღვაწეობის ასპარეზზე. მაგრამ უპირველესად თქვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ თქვენ სიკვდილამდე არ უმტყუნოთ იმ იდეათა, რწმენათა და დედა აზრთა, რომელთაც ნერგავს, ზრდის და განამტკიცებს თქვენში ღღეს სემინარია. ჭეშმარიტი და ღირსეული კაცი ის არის მხოლოდ ცხოვრებაში, ვინც თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით განახორციელებს კეთილის და ჭეშმარიტების თეორიულად შეთვისებულ მაღალ იდეალთა, და ვინც კაცად კაცია საქმით და არა მარტო სიტყვით. თქვენი მომავალი მოღვაწეობის გზა ეკლიანია, და მძიმე, მაგრამ სამაგიეროდ თქვენი საქმე წმიდაა, თქვენი იდეები მაღალნი და სპეტაკნი არიან. ნუ შეუშინდებით ნურავითარ დაბრკოლებათა ამ ეკლიან გზაზე მოღვაწეობის დროს. თქვენ გეკნებათ საქმე მდაბიო ხალხთან, რომელიც არის უმთავრესი ძარღვი სახელმწიფოისა, მამულის და ეკკლესიისა,—თქვენ უნდა აღზარდოთ და გაწრთენათ იგი გონებით და ზნეობითად: და აბა რა-ლა არის ამაზე უმაღლესი და უწმიდესი საქმე, დამშვენებელი ადამიანის მოღვაწეობისა ქვეყანაზე?! ხალხის მთელი ძალღონე, მთელი მისი, ესრედ წოდებული, ეროვნული ჯანსაღობა, დამოკიდებულია არა მარტო მის ფიზიკურ და ნივთიერ შეძლებაზე, არამედ მის ზნეობით სიმტკიცეზე და გონებრივ განვითარებაზე: პირველნი შეადგენენ ბრმა ძალათა, ხოლო უკანასკნელნი არიან გონიერნი ხელმძღვანელნი, გამაცოცხლებელნი და განმავითარებელნი ძალანი... მარადალია თქვენი მოღვაწეობა არ არის გამოჩინებული, არ ჯილდოვდება დიდებითა და ქვეყნიური სხვა ჯ სხვა ჯილდოებითა, პირიქით ის არის მყუდრო, წყნარი და ზოგჯერ დაწუნებული და დევნილი,—მაგრამ ნაცვლად ამისა თქვენი საქმენი უკვდავ არიან და შეუძლიათ მრავალნი დიდებულნი საქმენი წარჩინებულ მოღვაწეთა უკან ჩამოიტოვონ.

აი ამის გამო თქვენი შემაყურებელნი არიან არა მარტო ჩვენი ეიწრო სამშობლოის მკვიდრთა თვალნი, არამედ იმ პირთაც, რომელნიც სასულიერო განათლების საქმეში მეთაურობენ მთელს იმპერიაში, და ჩვენგან შორეულის რუსეთის შუაგულ ადგილიდგან მზრუნველობით თვალ-ყურს ადევნებენ მთელი სახელმწიფოის ყველა სასულიერო სასწავლებლების სვე-ბედსა. ეს არის მიზეზი, რომ თქვენი წარმატება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიკეთე ყველას ახარებს და ამხნევებს, ხოლო თქვენი სისუსტე სწავლის საქმეში და ცუდი ყოფაქცევა ასე აწუხებენ და თავზარს სცემენ მათ, ვისაც კი თქვენი მომავალი სამსახურის დიდი მნიშვნელობა სწამს და მიაჩნია. ნუ დაივიწყებთ ამას და ეცადეთ, რომ მარადის იყოთ შვებად და ნუგეშად თქვენი სამშობლოისათვის და არა სევდად და მწუხარებად მისსა. ვინც თქვენგანში უფრო დამოწიფებული, გონიერი და შეგნებულია, წინ წაუძღეთ, მხარი მიეცით და შთააგონეთ უფრო სუსტთა თქვენ ამხანაგთა. მოერიდეთ განსაცდელთა და მაცთურებათა, რომელთაც შეუძლიათ გადაგახვევინოსთ თქვენ ჭეშმარიტი გზიდგან და დაგლუპოს თქვენ, როგორც ზოგი თქვენგანნი დაიღუპენ. ნუ გგონიათ, რომ ქვეყანა ანგელოზებით იყოს სავსე, აქ არიან ცოდვილნი ადამიანნი, რომელთა რიცხვში ხშირად შეხვდებით მრავალ პირთა ცუდის და მავნებელის მიმართულებით და დამახინჯებულის აზრებით ღმერთზე, ქვეყანაზე და კაცზე. რასაკვირველია, თქვენთვის შეუძლებელია ასცდეთ ასეთ პირთა და თავიდამ აიშოროთ მათი მავნებელი ზედ-მოქმედება და სენი, ამიტომ რომ თქვენც ადამიანები ხართ და ადამიანებში სცხოვრებთ. მაგრამ აღიჭურვენით სასტიკის და ფიცხელის შეხედულებით ყველაზე, რაც კი თქვენ გირჩიონ ამ ბოროტ ძომქმედ პირთა; ზოგი შეაქციეთ მათ და მტკიცედ გწამდეთ, რომ თქვენი შეხედულება და აზრები არიან მხოლოდ ჭეშმარიტნი, რადგან იგინი დაფუძნებული არიან იესო ქრისტეს ლვთაებრივ სწავლაზე, რომელიც სრულიად ზედ მოჭრილი და შეხამებულია ადამიანის ჭეშმარიტ გუნებასთან. თუ ესრეთნი იქნებით, მაშინ თქვენ შეიქნებით თქვენს მზრუნველთა და აღმზრდელთა საუკეთესო ჯილდოდ, ქებად და დიდებად თქვენის სასწავლებლისა, თქვენ მშობელთა სასიხარულოდ და ნუგეშად და ეკლესიისა და მამულისა ფრიად სასარგებლო წევრებად, რაშიაც შეგეწიოთ დახელი მოგიმართოსთ უფალმა.

დეკანოზი დავით ლამბაშიძე.

მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა.

თითქმის მთელი წელიწადი თავდება, რაც ჩვენი მწარე ფიქრები არ გაგვიზიარებია ჩვენი მკითხველებისათვის. ამ მწარე ფიქრებმა ნამეტნავად შეაწუხა სული და გული. ეს არის წელიწადი თავდება და გვინდა ამ წელიწადს თან გავატანოთ ჩვენი ამ წლის მწარე ფიქრებიც. დარწმუნებული ვართ, რომ ის მიზეზნი, რომელთა გამო ჩვენ მწარე ფიქრები გვებადება თავში, სამუდამოდ არ მოიშლებიან, მაგრამ მათი გამოთქმის შემდეგ, რალაცა უკეთ გრძნობ თავს და თითქო სალავათი გეძლევა და უმჯობესი ფიქრები რალაც იმედს ჰბადავს მომავალი დროისათვის, ზოგიერთები ჩვენ მწარე ფიქრებს ყურადღებას არც კი მიაქცევენ, იტყვიან: «რა მწარე ფიქრები უნდა ჰქონდეს სოფლის მღვდელსო, ალბათ დრამის ფულები ვერ აუღია და იმას გაუმწარებიაო». ძლიერ მოსტყუვდება ამისი მთქმელი, ჩვენს სიცოცხლეში დრამის ფულების აღებაზე არას დროს არ გვიფიქრია. მწარე ფიქრებს ჰბადავს ჩვენში ამ წუთი სოფლის წაღმა-უკუღმა ტრიალი, ზოგიერთ პირთა მტარვალობა, ორპირობა და სინიდისის გადადგომა და სხვა და სხვა და სხვანი. იმედია, მკითხველო, ყურს დაუკდებ და მონაწილეობას მიიღებთ ჩვენს მწარე ფიქრებში.

ერთ დროს, ჩვენი სამოსწავლებლო ოლქის უმფროსმა, სხვათა შორის, გვითხრა ჩვენ შემდეგი ყოვლად საყურადღებო სიტყვები: «ყველა ჩვენს, ყველა სწუხს, რომ სარწმუნოება და ზნეობა სუსტდება ხალხში და უმართლობა და ცუდ-კაცობა მატულობსო. მე ყურადღებით ვადევნებ თვალს ზოგიერთებისაგან დასახელებულს მიზეზებს ამ სამწუხარო მოვლენისას, მაგრამ ცხადათ ვხედავ, რომ არც ერთი მიზეზი არ არის ნამდვილი და შესაწყნარებელი. ყველანი ფარავენ სიმართლეს, ყველანი თვალს არიდებენ ნამდვილ მიზეზთ, ყველანი დამნაშავენი არიან სიმართლის წინაშე. რამოდენი დრო გადის და აბა მიიხედ-მოიხედეთ, თუ სადმე ხედავთ მოწამეებს სიმართლისა და სარწმუნოებისათვის? წინეთ რით მტკიცდებოდა სარწმუნოება და ზნეობა ხალხში? მოწამეებით, რომელთა რიხვი მრავალი იყო. ღღეს? ღღეს ყველას თავის გაბედულება აღარ აქვს, ეშინია: «ვაი თუ ჯილდოზე აღარ წარმადგინონო, ვაი თუ პენსია დამეკარგოსო, ვაი თუ წინ ბიჯი ვეღარ წარვსდგაო და სხვა და სხვა»...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ჭეშმარიტად საგულისხმო სიტყვები, აი ნამდვილი მართალი მიზეზი, სხვათა შორის, ეხლანდელი დროის ზოგიერთ სამწუხარო მოვლენათა, აწინდელი დროის ვარამისა!!.

ამ სიტყვებმა ისე გაგვამხნევა, ისეთი ენერგია დაბადა ჩვენში, რომ გაბედვით და თამამად გამოვსთქვით ჩვენი აზრი და შეხედულება ერთ საგნის შესახებ, დაეამტკიცეთ ჩვენის მხრით (თუმცა დამტკიცება სრულებით საჭირო არ იყო), რომ საღმრთო სჯული ექვსი და შვიდი წლის ბავშვებს მათ გასაგებ დედაენაზე უნდა ასწავლონ და არა მუნჯურად, მათთვის უცხო ენაზედ-თქო. სხვათა შორის, მოვიყვანეთ მოციქულები, რომელთაზედა სული წმიდის მადლი იყო გადმოსული იმისათვის, რომ მათ ყველა ხალხის ენაზედ შეძლებოდათ სწავლება საღმრთო სჯულისა. მე იმედი მქონდა, რომ მადლობას გამომიცხადებდენ, დამჯილდოებდენ ამისთანა სიმართლის თქმისათვის. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც დამიბარეს და შემეხურეს: «როგორ გაბედე მაგისი თქმა? ამით შენ უარს ყოფ მთავრობის განკარგულებასო, შენ წინააღმდეგი ხარ კეისრისა, შენ ასეთი და ისეთი ხარო». მადლობა ღმერთს, რომ ჩემი ნამსახურებითი სია ვერ იგდეს ხელში, თორემ, გაქეს ღვთის წყალობა, იმას გაასპეტაკებდენ...

მეორე ჯერ გაბედულად დაუმტკიცე საზოგადოებას, თუ რა სიყვარულობით ჰკიდებს ხელს ჩვენი ხალხი რუსულ ენის შესწავლას, რა თავგამეტებით ებრძვის სხვა-და-სხვა დაბრკოლებას, რომ როგორმე რუსული ენა შეისწავლოს და თავისუფლად ლაპარაკობდეს მასზედ. დაუმტკიცეთ ყველას, რომ ქართველები კარგა ბლომად ქრთამსაც ხარჯავენ, რომ თავიანთი შვილები მიაღებინონ რუსის სკოლებშიო. ერთი სიტყვით ცხადათ და აშკარად დაუმტკიცეთ მართებლობას და საზოგადოებას ჩვენი ხალხის კეთილი გრძნობა, ერთგულობა და მეცადინეობა რუსული ენის შესწავლის შესახებ. ამაზე კი მოთმინებიდამ გამოვიდნენ, ხმას აღარ გვცემენ და მრავალი ეპისტოლეებიც გაგზავნეს, სადაც ჯერ არს: ულმერთობას და ურწმუნოებას გვწამებენ!!. არ ვიცით, თუ რით გათავდება საქმე... ენახოთ...

***

ნეტავი იცოდეთ, რა სიხარულით მივეგებეთ ახლად გამოცემულ სასულიერო სასწავლებლის წესდებას ოცდა ორი წლის წინათ. როცა ეს წესდება სამღვდელოების ყრილობაზე წავიკითხეთ, ალტაცებაში მოვედით, ვიფიქრეთ: აი ასპარეზი, სადაც ყველა სამღვდელო პირს შეუძლია სამსახური გაუწიოს სწავლის საქმეს და მამულს. მართლა, დიდი ცვლილება მოახდინა მთელს იმპერიაში სასულიერო სასწავლებლის ახალმა წესდებულებამ. სამღვდელოებამ ცხადათ დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ მას შეუძლია თავის საქმეებზედ ჯეროვანად მოიფიქროს და შესაფერად აწარმოოს სწავლის საქმე. სასწავლებლებმა მცირეს დროში იცვალეს ფერი: ნაცვლად უბრალო ღარიბ შენობათა, გამოიჭიმენ მშვენიერნი შენობანი, ნაცვლად ქოხებისა, მშვენიერნი საზოგადო ბინები მოწაფეთათვის, ნაცვლად მცირე ჯამაგირისა მოსამსახურეთ დაენიშნათ საკმაო და ჩინებულნი ჯამაგირები, საჩუქარი, პენსია და სხვა და სხვა... ნათქვამია, კაცის გულს მიწის მეტი ვერა გაძღებსო. სწორეთ მართალი უთქვამსთ. ყოველს წელში ღიტინით და თხოვნით გაწუხებენ... ცოლ-შვილი ვერ ვარჩინეთო, რიგიანად ვერ ვსცხოვრებთო; ყველა უჩივის უფულობას, სიღარიბეს, ეხლანდელი დროების მოთხოვნილებას. მაგრამ ვერ ნახავთ ერთს ამ მომჩივრებში, რომ თავისთავს აბრალებდეს უხვეიროდ და სულელად ფულის ხარჯვას და ფანტვას, უზომო ცხოვრებას, უეკონომიობას, მეტიჩრობას ცხოვრებაში, ზარმაცობას და გაუმაძღრობას. შესანიშნავი მწერალი სმაილსი ამტკიცებს, რომ მესამედი იმ ხარჯისა კმარა ხალხისათვის, რასაც იგი ღღეს ხარჯავსო, რომ ეკონომიის გაკეთებოდეს რამეო. დამტკიცებულია სტატისტიკური გამოანგარიშებით, რომ ღედა-მიწაზე ნამეტანი გამაძღრობით უფრო მეტი კვდება, ვინემ უჭმელობით. ვერ შეუტყვიათ კიდეე ზოგიერთებს, რომ ბედნიერია ის კაცი, რომელიც კმაყოფილია თავისი ხვედრით, თავისი მცირე წილით და არა ისა, ვისაც ბევრი სასმელ-საჭმელი აქეს და ვინც გამდიდრებას მოელის... ყველანი დროს უჩივიან და არა თავის ცუდ ხასიათს და თავის რეგვენობას!..

***

იმდენი საჩივრების წერილები ჯილდოზე წარუდგენელობისა გამო არასოდეს არ მიგვიღია ჩვენ, რამოდენიც ამ წელში მივიღეთ. რომ დაგვეერდეთ ამ წერილების შინაარს, სწორეთ დათანხმდებით, რომ ბევრის წილად სასარგებლო იქმნება, რომ სამღვდელოებაში ჯილდოს მიცემა სულ მოისპობოდეს. ერთის მხრით კაცის გასამხნევებლად კარგია ჯილდოს მიცემა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მეორეს მხრით ბევრს შურს ჰბადავს სამღვდელოებაში და ზოგ შემთხვევაში წაქეზების მაგიერ სრულებით სპობს ზოგიერთ მოსამსახურეში ენერგიას და სურვილს წარჩინებული სამსახურისათვის. ერთი გვწერს: «ამიხსენით, ღვთის გულისათვის: 34 წელიწადი ჩემს პირად სამსახურს გარდა ვასრულებ ბლაღოჩინობას უბიწოდ, შეუნიშნავათ და მრავალს გზის გამომცხადებია მადლობა ადგილობითი მთავრობისაგან: რა მიზეზია, რომ ჩემი მოამხანაგე ყოველ სამ წელიწადში იღებს ჯილდოს და მე—არა, როდესაც ჩემი სამსახური ბევრით განსხვავდება მისი სამსახურისაგან? ცხრა წელიწადი ჩემს მოძმეზედ მეტი სამღვდელოების დეპუტატად ვყოფილვარ და სიმართლისათვის ჩემ თავი არ დამიზოგავს და საზოგადოების სიყვარული და პატივის ცემა დამიმსახურებია». მეორე გვწერს: «ძლიერ გაკვირვებული ვარ და ვერ ამიხსნია, რათ ვიჩაგრებ ასე. მქონდა შემთხვევა უკეთეს სამრევლოში გადავსულიყავი, მაგრამ არ დავსტოვე ჩემი სამრევლო. ჩემსა და მრევლში სუფევს მამაშვილური განწყობილება. ეს მტკიცდება თვით მრევლისაგან. ჩემი ღარიბი ეკლესია დიდის მეცადინეობით მშვენიერად შეკამკე, საეკლესიო სკოლა მაქვს და ჩემს თავს არ ვზოგავ, რომ ჩემი სამსახური განვასხვაო. ექვსი წელიწადი დეპუტატად ვიყავი და იცით, თუ რამოდენი შრომა და უსიამოვნება მივიღე ხოლმე. სირცხვილია, ჩემის მხრით, ამის თქმა, მაგრამ არ შემიძლია არ ვიკითხო: რათ მიეცა უპირატესობა ჩემს მეზობელ მოძმეს, რომელსაც არც სკოლა აქვს და სრულებით არავითარი ღვაწლი არ უჩანს დაჯილდოებისათვის?..»

ამ გულდაწყვეტილ პირებს ამის მეტს ვერასფერს ვეტყვით. მოიქეცით ისე, როგორც დაჯილდოებულნი პირნი იქცევიან თავიანთ უფროსების წინაშე და თქვენც ისე დაჯილდოვდებით, როგორც იგინი არიან დაჯილდოებულნი. თუ გული არ გითმენსთ იმათ ნაირ მოთმინებას და მორჩილებას ყველასთან, მაშინ წინათვე უნდა იცოდეთ, რომ ჯილდო აგცილდებათ!.. დეპუტატობის და სასულიერო სასწავლებლების სამმართველოებში წევრობის თანამდებობის მიღება მაინც ზოგიერთი ზედამხედველების ხელში ძლიერ საშიშია ჯილდოს მიღების საქმეში... ჩვენ ცოდვილი მრავალს წელს ვიყავით დეპუტატად და წევრადაც. ოხერმა გულმა არ გვიქნა და ვერ დავსდევით სატო პირსა ჩვენსა. ერთ ზედამხედველს აღმოვუჩინეთ რვაასი მანეთი შეჭმული ფული, რომელიც დღესაც დაკარგულია სამღვდელოებისათვის, მეორეს აღმოუჩინეთ ექვსასი მანეთი და ეჭვი არა გვაქვს, რომ სხვაც ბევრი იქნებოდა, მესამეს ათას მანეთამდე აღმოუჩინეთ ფულები ბოროტად მოხმარებული და რაც ვერ დავუმტკიცეთ, იმას არ ვნიშნავთ. სამღვდელოების სიყვარულით და პატივისცემით სრულიად დავჯილდოვდით, მართალია, მაგრამ ზედამხედველების რისხვა მრავალი დავიმსახურეთ და არა თუ ჯილდო, ემადლობთ ღმერთს, რომ დაუსჯელად გადავრჩით. მას ქამსა შინა, ერთ კრებაზე ერთის სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებამ აირჩია ერთი პატიოსანი პირი სასწავლებლის სამმართველოის წევრად. ის სულ სხვა გზას დაადგა. დასდო სატო პირსა თვისსა და ხმა არ ამოიღო არასფერ საქმეზედ. ყველაფერზე, ნიშნად თანხმობისა, თავს უქნევდა ზედამხედველს და რასაც მისცემდენ, ყველაფერზედ ხელს უწერდა; სამ წელს იქით, ნუ იტყვით, ზედამხედველმა ეს წევრი წარადგინა ანნას ორდენზედ სამაგალითო დანაყოფერი სამსახურისათვის. ეს წევრი რომ წარმომდგარიყო და ეთხოვებია ზედამხედველი, ეთქვა: შენ მღვდლების ნებადაურთველად მათ ფულებს ხარჯავ და სასწავლებელს ზარალს აძლევო, რასაკვირველია, არასფერზედ არ წარადგენდა!.. ჭეშმარიტად არის ნათქვამი: ოჩია უფჯოვარა შესაძლებელ ანს მსახურებად. საზოგადოების სიყვარულის დამსახურებაც და ჯილდოც, რომ არ შეიძლება ერთად!.. სიმდიდრის და სასუფევლის დამკიდრება ერთად რომ არ მოხერხდება!.. საზოგადოების მხრით სიყვარულის დამსახურება და ზედამხედველებისაგან ჯილდოზედ წარდგინება ყოვლად შეუძლებელია... ეს შესაძლებელია იქ, სადაც რიგიან ზედამხედველთან გაქვს საქმე და ყველანი პატიოსნებაზე არიან დამყარებულნი... მადლობა ღმერთს, რომ ამისთანა ზედამხედველები მცირენი არიან.

მესამე ჩვენის მოძისაგან უფრო საყურადღებო წერილი მივიღეთ. აი ის რას იწერება: «32 წელიწადია, რაკ ჩემს სამრევლოში ემსახურებ. მისი დატოვება წინააღმდეგ საქმედ მიმაჩნდა და მიმაჩნია და არც ერთ უკეთეს სამრევლოზედ არ გამიცვლია. ოცი წელიწადია, რაც სკოლა მაქვს და შეძლებისა დაგვარად ვასწავლი. ოთხას-ხუთასამდისინ არიან ჩემს და სხვა სამრევლოებში ჩემგან ნასწავლნი. არავის ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია და არც დაუჯილდოვებივარ, მაგრამ გეფიცებით ღმერთს, რომ არც ერთ ნივთიერ ჯილდოს არ შეუძლია იმ სიამოვნების და სიხარულის მონიჭება კაცისათვის, რაც სიამოვნებას და სიხარულს მე მაგრძნობინებენ ჩემგან ნასწავლნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აღზრდილნი ჩემი სამწყსონი. სწორეთ ესენი არიან ჩემი ჯილდო და ორდენები და არ გავსცელი მათ ნივთიერ ჯილდოზე».

აი ჭეშმარიტად ამერიკელი კაცის ხასიათი. სწორეთ საქები და მოსაწონია თქვენი აზრი. გულით და სულით ვისურვებთ, მრავალნი წამბაძველნი აღმოსჩნდენ თქვენი მიმართულებისა და აზრისა ჯილდოს მიღების შესახებ...

***

«მოვიდა სომეხი მოიტანა სხვა მეხიო». ხალხის ერთი ახირებული ზეპირ-გადმოცემა აი რას ამბობს ამ სიტყვების შესახებ. როდესაც იესო ქრისტეს აწვალებდენ ურიები ჯვარზე, უნდოდათ გამოეგონებიათ რამე ქრისტეს ჯვარცმის დროს საწვალებელი ღონეო. ერთმა სომეხმა, რომელიც ამ დროს იქ დაესწრო თურმე, ურჩია ურიებს ნაღვლიანი ძმარი დაელევინებიათ ქრისტესათვის. ურიებმა აასრულეს ეს რჩევაო. ზოგიერთებმა სთქვესო: «მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მეხიო». უნებლიეთ მაგონდება ეს ანდაზა, როდესაც ვკითხულობ დოქტორი კიუჩარიანცის განცხადებას, შეტანილს თბილისის ქალაქის საბჭოში კვირა-უქმე დღეებში მუშაობის და ვაჭრობის ხელახლა ნება დართვისთაობაზედ. ძლივს ველირსეთ კვირა დღეს დუქნების დაკეტვას, ძლივს ველირსეთ წესიერების დამყარებას კვირა დღეს და ეს ექიმი გამომდგარა და ქვეყანას უმტკიცებს, რომ კვირა დღეს უქმობით დავ ილუპებით, დავიმსებითო». ინგლისში პურის ყიდვა არ შეიძლება კვირა დღეს, მაგრამ იქაურებისთანა მდიდარი ხალხი არ არის ქვეყანაზედ. ამ ხმოსნის ყოველი წინადადება, სასიხარულოდ, ყველა ხმოსნებისაგან უარყოფილი იქმნა. ბოლოს ურიების მხარე დაიკავა ამ ბ-ნმა და მათთვის თხოულობდა დუქნების გაღების ნებართვას, მაგრამ ამაზედაც, სასიხარულოდ, უარი უთხრეს. სწორეთ კარგი «ადვოკატისთვის» მიუგნიათ ურიებსაც!...

***

სწორეთ ახირებულ ხმოსნებს შეხვდებით მაინც თბილისში. აქას წინეთ დიდი ბაასი ჰქონდათ თბილისის ქალაქის საბჭოში ხმოსნებს ქალების ერთ ნაირ სნეულებაზედ (женская нервная болѣзнь). დიდის ჭაპან წყვეტით იკვლევდენ დედაკაცების ამ გასაოცარი სნეულობის მიზეზს. მაგრამ მაინც ვერ შეიტყეს ნამდვილი მიზეზი ამ სნეულების გავრცელებისა. დიდის მოუიქრების შემდეგ ერთმა ხმოსანმა თ. მიქ—ძემ აღმოაჩინა ამერიკა! ამ სნეულების გამრავლების მიზეზად ბრწყინვალე თავადმა გამოიყვანა მეკუბოების შუაგულ ქალაქში ყოფნა. როდესაც კუბოებს ყიდულობენ, ბრძანა თავადმა, და ქალაქში ქუჩა ქუჩა მიაქვთ, მას ხედავენ მანდილოსნები, წარმოიდგენენ რა თავის სიკვდილს კუბოს დანახვაზედ, ავად ხდებიან და ეს ავათ-მყოფობა ბოლოს დროს იქცევა იმ სნეულებათ, რომელსაც ეძახიან «нервность». სო. ჩვენ გვითხრეს, სთქვა ბრწყინვალე თავადმა, რომ ერთ მანდილოსანს კუბოს დანახვის დროს თავბრუ დაესხა და უგრძნობელად დავარდა გზაზედო. ეველა ხმოსნებმა ერთ ხმად კვერი დაუკრეს და დაიძახეს: «გაიყაროთ ქალაქს გარეშე მეკუბოები და გამოჩენილად კუბო არავინ გაატაროს ქუჩა-ქუჩა. უნდა ვეცადოთ, სთქვეს ერთად ხმოსნებმა, რომ მანდილოსნებს არასფერი არ მოაგონებდეს სიკვდილს, მაშინ იმედია ეს სნეულება ქალებისა გაქრება და მოისპობა». ბასაოცარია, რომ ზოგიერთი ექიმი ხმოსნებიც დასთანხმდენ ამ თავადის მოსაზრებაზედ. ბასაოცარია, რომ კუბოს დანახვაზე ზოგიერთ მანდილოსნებს თავბრუ ესხმისთ და როდესაც ახალ დაბადებულ ბავშვებს ქუჩაზედ ისვრიან, მაშინ კი არა! ღამე ხომ არ გაიელის ისე თბილისში, რომ თითო ორ-ორი და ხან სამ-სამიც ახალ დაბადებული ბავშვი არ გამოაგდონ ქუჩაზედ. ნუ თუ ამას არ აქვს გაველენა მათ მშობლებზედ? ნუ თუ ეს არ არის ნამდვილი მიზეზი ათას ნაირი სნეულებისა დედაკაცებისათვის? მართალია, მამები ამ უბედურ დაბადებულთა უგრძნობელნი არიან და უვნებელად რჩებიან, მაგრამ დედები ვერასოდეს ვერ მოინელებენ იმ მწუხარებას დაფიქრს, რომელ შიაცა ისინი ვარდებიან ამ დაკარგული ბავშვების გამო. აქ კუბოები არაფერ შუაში არ არიან. მკვდრები და კუბოები ყოველთვის ყოფილა, მაგრამ ეს გასაოცარი სნეულება დედაკაცებისა არ ყოფილა. ძველ დროში ნიადაგ მოსაგონებლად დაფაზედ ჰქონდათ დაწერილი სიტყვები: «გახსოვდეს უკანასკნელი დღე» და წინ ჰქონებიათ დაკიდებული, მაგრამ ეს სნეულება არ ყოფილა გავრცელებული. ნამდვილი მიზეზი ამ სნეულებისა უნდა ეძიოთ ეხლანდელ გადაპრანჭულ და გადმახინჯებულ ცხოვრებაში, ეხლანდელს ცუდ და შეუფერებელ ბავშვების აღზრდაში, სხვა და სხვა უმსგავსო რომანების კითხვაში, რომლის კითხვით ზოგიერთი ქალბა-

ტონები ისე დაითვრებიან, როგორც სპარსელნი ხაშ-ხაშით. ჭეშმარიტად გაკვირვებული ვართ ზოგიერთი პირების უმგვანო და უსაფუძვლო მსჯელობითა სხვა და სხვა სერიოზულ საქმეების გამო...

უდარსი სოფლის მღვდელი.

რუსული ენის სწავლების შესახებ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში.

ჩვენი რუსული გამოცემის მეთვრამეტე № ში დაბეჭდილი იყო ჟურნალური დადგენილობა ქართლის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების რჩევისა. ამ დადგენილობაში, სხვათა შორის, იყო ერთი მუხლი, რომელიც ეხებოდა რუსული ენის სწავლების დაწყების საქმეს ჩვენს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში. უწმიდესი სინოდისაგან სულ სხვა განსაკუთრებითი სწავლების წესი იყო დამტკიცებული საქართველოს საექსარხოსოისათვის. სინოდის დადგენილობით ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლება იწყება სასწავლო წლის მეორე ნახევრიდამ. ამ დროიდგან მოწაფეებს უნდა ასწავლონ მარტო რუსული სიტყვები და მოკლე წინადადებანი. მეორე წლიდგან კი იწყება რუსული ენის წერა-კითხვის სწავლება სახელმძღვანელო წიგნების საშუალებით. ხსენებულს რჩევას ერთ თავის უკანასკნელ კრებაზე, რომელზედაც დაესწრო უწმიდეს სინოდთან არსებული საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამგეობის წევრი და საქმის მწარმოებელი ბ. შემიაკინი, მსჯელობა ჰქონდა, თანახმად ამ უკანასკნელის წინადადებისა, მასზე შეიძლება თუ არა, რომ ცალკე სიტყვების და მოკლე წინადადებათა სწავლება რუსულს ენაზე დაიწყოს ჩვენს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში წლის პირველი ნახევრიდგანვეო. რჩევამ, შემდეგ ჯეროვანი მოფიქრებისა, დაადგინა, რომ წლის პირველ ნახევრიდგანვე შეიძლება დაწყებულ იქმნეს რუსულ ენაზე ცალკე სიტყვების და მოკლე წინადადებათა სწავლება ჩვენს საეკლესიო-სამრევლო სკოლებშიო. რომ მართლა რუსული ენის ამ სახით შესწავლა მეორე წელში მოწაფეს გაუადვილებს რუსული წერა-კითხვის შესწავლას, ვგონებ, ამაში ეჭვი არავის არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ სამწუხაროდ რჩევის ამ გვარი დადგენილობა ზოგიერთებს სხვა ნაირად აუხსნიათ და გაუგიათ. ზოგიერთები ფიქრობენ თურმე, რომ ამ დადგენილობის ძალით სასწავლო წლის დაწყებიდგანვე უნდა შემოღებულ იქმნეს რუსული წერა-კითხვის სწავლება სახელმძღვანელო წიგნების საშუალებითო. ამისათვის საჭიროთ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ რჩევის ზემოთ აღნიშნული ჟურნალური დადგენილობა სრულებით იმას არ მოითხოვს, რომ წლის დაწყებიდგანვე იქმნეს დაწყებული რუსული წერა-კითხვის სწავლება ჩვენს საეკლესიო სკოლებში. რჩევის დადგენილობით ითხოვება, რომ ყმაწვილს სკოლაში შესვლისათანავე დააწყებინონ ცალკე სიტყვების და მოკლე წინადადებათა შესწავლა რუსულს ენაზე. ამასთან ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პალლადი არ დათანხმებულა, რომ რაიმე ცვლილება მოხდეს ჩვენი სამრევლო სკოლებისათვის უწმიდესი სინოდისაგან დამტკიცებულ პროგრამმაში. აგრეთვე ვიცით, რომ არავითარიმე შეცვამდგომლობა ხსენებული პროგრამმის შეცვლის თაობაზე არ წარდგენილა უწმიდეს სინოდში.

ტაძრის ღღეობა და წლიური აქტი თბილისის დედათა ეპარქიალურს სასწავლებელში.

21 ნოემბერს თბილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში იყო წლიური აქტი. ამ დღეს სასწავლებელში მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ექსარხოსი პალლადი სასულიერო სემინარიის რექტორის ნიკოლოზის და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრთა არქიმანდრიტების მაკარის, ნიკოლოზის და სხვა სამღვდელოთა თანა მწირველობით. წირვისა და სამადლობელი პარაკლისის გადახდის შემდეგი მაღალ ყოველად უსამღვდელოესი პალლადი შებრძანდა სასწავლებლის დარბაზში, სადაც მათმა მეუფებამ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა აქ შეკრებილ პირთა წინაშე. შემდეგ დაიწყო თვით აქტი. მოსწავლე ქალთა მგალობელმა გუნდმა იგალობა: «ღღეს მადლმა სულისა წმიდისამან შეგვკრიბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ჩვენ». ამის შემდეგ სასწავლებლის ინსპექტორმა ბ. ალბოვმა წაიკითხა სასწავლებლის ანგარიში 188⁷/₈ სასწავლო წლისა. ანგარიშიდამ სჩანს, რომ ეს სასწავლებელი უწინ ყოფილა მცხეთაში, საიდგანაც მისი ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსად ყოფილის დღეს მოსკოვის მიტროპოლიტის იოანნიკეს მეცადინეობით გადმოტანილ იქმნა თბილისში და გადაკეთდა ეპარქიალურ დედათა სასწავლებლად. მათმა მეუფებამ, მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანნიკემ თავის საშვალებისაგან შესწირა ამ სასწავლებლის სახარგელოდ 28,000 მანეთი. ამ საქმეში მათ მეუფებას დიდი თანაგრძნობა და დახმარება აღმოუჩინა საექსარხოსოის სამღვდელოებამ. ამ სასწავლებელში წინად ძალიან ცოტა მოსწავლენი ყოფილა. დღეს სასწავლებელში სწავლობს 136 ქალი. სკოლასთან დაარსებულია აგრეთვე ობოლ მოსწავლეთათვის თავ-შესაფარი, რომელშიაც დღეს 50 მოსწავლე ინახება სასწავლებლის ხარჯით. სასწავლებელს აქვს 84,000 მანეთი, რომელიც ხელ-უხლებელ თანხად სძევს. სასწავლებელი იმყოფება დიდის მთავრის ოლგა თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ; დიდი მთავრინა ყოველ წლობით აძლევდა ამ სასწავლებელს, ვიდრე იგი მცხეთაში იყო, 200 მანეთს; ეს ფულები დღესაც ეძლევა ამ სასწავლებელს. გარდა ამ საშუალებათა მთელს საექსარხოსოში იკრიბება ფულები ამ სასწავლებლის სასარგებლოდ.

სასწავლებლის პროგრამმა ბევრით არასფრით არის ნაკლები დედათა გიმნაზიის პროგრამმაზე. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ მგალობელთა გუნდმა იგალობა «ღმერთო, დაიცე მეფე». როცა საგალობელი გათავდა, სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ბ. იაროსლავმა წაიკითხა თავისი წერილი «დედაკაცის მდგომარეობისა და მოქმედების შესახებ კერპთ-თაყვანის მცემლობასა და ქრისტიანობაში». აქტზე დაესწრო აგრეთვე კავკასიის სწავლა-განათლების მხრუნველი ბ. იანოვსკი და სხვანი. აქტის გათავების შემდეგ შეკრებილმა საზოგადოებამ დაათვალიერა მოსწავლე ქალთა ხელ-საქმე და ძალიან მოიწონა იგი. შემდეგ საბელ-საქმე და ძალიან მოიწონა. შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ შეკრებილ საზოგადოებას გადასცა ლოცვა-კურთხევა და წაბრძანდა სასწავლებლიდამ.

ჩვენდა სამწუხაროდ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ აქტზე არ დასწრებია ჩვენი საღვდელოება. ჩვენ პირველად ვიფიქრეთ, რომ ალბად ჩვენი თანამოძმენი დიდად არ ინტერესობენ ამ სასწავლებლით, მაგრამ შემდეგ გავიგეთ, რომ აქტზე შესვლა ბილეთებით ყოფილიყო და სამღვდელოება ვერ ღირსებია ამ ბედნიერებას და ამ გვარად იგი მოკლებულ იქმნა, რომ მასაც ესიამოვნა თავის შვილებთან ერთად. ვის უფრო ესიამოვნებოდა მოსწავლე ქალთა ხელ-საქმის ნახვა, მათი გალობის მოსმენა და სასწავლებლის ანგარიშის გაგება, თუ არა სამღვდელოებას, რომლის შვილებიც იზრდებიან ამ სასწავლებელში და რომელიც თავის საშუალებით ინახავს თვითონ სასწავლებელსაც?

ზოგიერთი ცნობები თბილისის სასულიერო სემინარიის წლიური ანგარიშისაგან.

წელს შესრულდა სამოცდა-ცამეტი წელიწადი თბილისის მართლ-მადიდებელი სასულიერო სემინარიის დაარსებიდგან. ეს სასწავლებელი უწინდებულად ასრულებს თავის მოვალეობას წმ. ეკლესიისა და სახელმწიფოის სასარგებლოდ. ამ საანგარიშო წელში სემინარიაში მოხდენ შემდეგნი ცვლილებანი. რექტორი სემინარიისა, არქიმანდრიტი პაისი, თავისი თხოვნით დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან და მის ადგილზე გადმოყვანილ იქმნა რექტორად მოგვილევის სემინარიის რექტორი მამა არქიმანდრიტი ნიკოლოზი. ნაცვლად გარდაყვანილ მასწავლებელთა დაინიშნენ ახალი მასწავლებლები. სემინარიის ექიმს ბ. მიშკინს დაედგინა მოვალეობად ზედა კლასებში ასწავლოს ექიმობის საგანი.

სემინარიაში მოსწავლეთა რიცხვი გარდა თორმეტი მოწაფისა, რომელნიც თანახმად თავიანთ თხოვნებისა გავიდნენ სემინარიიდამ და ხუთი მოწაფისა, რომელნიც გადაიცვალენ, არის 447; ამათში მეექვსე კლასში არის 38 კაცი. მეხუთეში—55; მეოთხეში, რომელსაც ორი განყოფილება აქვს,—63; მესამე კლასის ორ განყოფილებაში არის—75, მეორე კლასის ორს განყოფილებაში—108 და პირველი კლასის ორ განყოფილებაში—108.

ამ 447 მოწაფეში ქართლ-კახელი არის 151 კაცი, იმერელი 144, გურულები—59, მინგრელები 35, რუსები—30, ბერძნები 14, ოსები 5, დანა-

რჩენი არიან ჩეჩენები, უდინები, აფხაზები და სხვანი. წოდებისა დაგვარად სემინარიის მოწაფენი განიყოფებიან: ეკლესიის შვილები არიან—47, აზნაურების—13, მოქალაქეებისა—11, მაძიებელ აზნაურებისა—7; დანარჩენი მოწაფენი არიან საეკლესიო-სამღვდელო მოსამსახურეთა შვილები.

სწავლების საქმეც სემინარიაში ამ საანგარიშო წელში რიგიანად სწარმოებდა, რასაც ხელს უწყობდა სემინარიის მეუფროსეთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან ერთ სულობით მათი მოვალეობის აღსრულებით.

სემინარიის სამმართველო დრო და დრო იხილავდა სხვა და სხვა საშუალებათა, რომ მოსწავლეთა წარმატების საქმე რიგიანად და სასურველად წაეყვანა. სემინარიასთან არსებობენ ფუნდამენტალური და მოსწავლეთა წიგნთ-საცავები, რომლებშიც ირიცხება 9000 სხვა და სხვა წოდების წიგნები. მასწავლებლები გულმოდგინეთ აღსრულებდენ თავიანთ მოვალეობას და ერთი გაკვეთილიც არ გაუშვიათ არა პატივ-სადებ მიზეზისა გამო. ყველა მასწავლებლებისაგან გაშვებულ იქმნა 80 გაკვეთილი. ეკზამენების შემდეგ, რომელიც მოხდა მაისში და ივნისში ამა წლისა 28 მოწაფემ დაამთავრა სწავლა სემინარიაში, 244 გადაყვანილ იქმნენ შემდეგ კლასებში. მათში თითქმის ნახევარი პირველ რაზრიადში იყენენ; აგვისტოში განმეორებითი ეკზამენები დაიჭირა 70 მოწაფემ, დარჩენ მეორე წელს იმავე კლასებში 35 კაცი, დათხოვნილ იქმნენ 13. რაც შეეხება სემინარიის მოწაფეების ყოფა-ქცევას ინსპექციის წევრთ არ შეუნიშნავთ განსხვავებული დამნაშაობა მოსწავლეთა შორის. საზოგადოდ აღმზრდელობითი ნაწილი სემინარიისა სანუგეშო მდგომარეობაში იყო. მოსწავლეთა შესანახავად სემინარიის სამმართველოს ეძლევა ფულები: ა) ადგილობით საეკლესიო ხაზინებიდგან უწმიდესი სინოდის ხარჯთა აღრიცხვის (смѣта)თანახმად; ჯარის სამღვდელოების უწყებისაგან შესანახავად ამ სამღვდელოების შვილებისა, რომელნიც ამ სემინარიაში სწავლობენ; ბ) კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოებისაგან;

გ) კერძო კეთილ შემომწირველთაგან, საუკუნოდ მოსახსენებელთ მაღალ ყოველად უსამღვდელოესთა მიტროპოლიტთა იონა და იოანნიკესაგან, საქართველოს ექსარხოსად ყოფილთ, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, გორის ეპისკოპოსისაგან, ნადვორნი სოვეტნიკების პეტროვის და პოკროვისაგან—თანხა სარგებლიანი ქალალდებით—მისი ბრწყინვალეგის თავად დონდუკოვ-კორსაკოვისაგან—ერთ დროებითი შემწეობა,—ამ უკანასკნელ დროს შემოვიდა ახალი შემოწირულებანი უ. სიმონ სიმონის ძის საყვარელიძისაგან და ქ-ნის სერედენკოსაგან. გარდა ამისა ცხრა წელიწადია, რაც ამ სემინარიასთან არსებობს სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე ძმობა. ამ აღნიშნულ შემოსავლით 130 მოწაფე მუდამ სცხოვრებდნენ სემინარიის პანსიონში სახელმწიფო ხარჯით დანარჩენ მოწაფეთა ორი მესამედი სცხოვრებდა კერძო ბინებზე თავიანთ მშობლების და ნათესავების ხარჯით და ზემოდ აღნიშნული საშუალებებით. სემინარიის საავადმყოფოში შემწეობას იღებენ როგორც სახელმწიფო ხარჯზე მცხოვრები მოწაფენი, ისე კერძო ბინებზე მცხოვრენნი, რომელთაც უფასოთ ეძლევათ წამლები და საჭმელ-სასმელი; წლის განმავლობაში ამ საავადმყოფოში მიეღო შემწეობა წამლით 1000 კაცზე მეტს, ხოლო თვითონ საავადმყოფოში წოლილა 200 კაცი.

დაახლოებითი თვალ ყურის გდება მოწაფეთა ყოფა-ქცევაზე ჩქონდათ მიქცეული სემინარიის ინსპექტორს და მის ორს თანაშემწეს. აღნიშნულნი წევრნი ინსპექციისა მუდამ ესწრებოდენ მოწაფეებს როგორც წირვა-ლოცვის დროს, ის პურის ჭამის დროს, ათვალიერებდენ საღამობით როგორც პანსიონში მცხოვრებ მოწაფეებს, ისე კერძო ბინებზე.

როგორც წინა წლებში, ისე ამ მომავალ წელში სემინარია უწინდებულადვე სიყვარულით და პატივისცემით შესცქერის მასს, ვინც მუდამ სემინარიის ცხოვრებაში იყო თვით სასიხარულო და ძვირფასი... შენ, მაღალ ყოველად უსამღვდელოესო მეუფეო!

აი უკვე ორი წელიწადია, რაც შენ, ღვთის მოწყალებით, მართავ ღვთის-მშობლის წილ-ხდომილ მხარეს, ყოველივის სიყვარულობით აქცევ თქვენს მოწყალე ყურადღებას ამ მხარეს, ზოგს ამხნევებ თქვენი ალერსიანი და გრძნობითი სიტყვით, სხვათ უჩვენებთ უფრო გონიერ საშუალებათ სწავლის საქმეში ჯაღრდაში,— მესამეთ ნივთიერად ეწევით ყველას.

მიიღე, მოწყალეო მეუფეო, ჩვენ ყველასაგან ნაცელად თქვენი მეუფის ჩვენდამი სიყვარულისა გულითადი მადლობა; კიდევ მრავალნი წელნი იცხოვრე საკეთილოდ ყველა შენ მოსაყვარულეთა საკეთილოდ, იცხოვრე, გვასწავლე და გვაკურთხენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ*).

მაძლო რედაქტორო! «მწყემსის» № 20 მე წავიკითხე ჩემი წერილის შესახებ თქვენი პასუხი, რომელიც თავ ჩემზე იეზუიტულ ბრძანებით, კითომც მე ქადაგებს მსურდეს და ამა მიზეზით გთხოვეთ ჩემი და წერილით მოხსენებული ჭკეთხვის განმარტება. მე სრულებით ის ფიქრი და აზრი არ მქონია სახეში მიღებული, შემდეგ ესრეთი კითხვის გადაწყვეტისა გაზეთის საშვალებით, მე გავმხდარიყავი მქადაგებელი; აი რა მიზანი მქონდა ამ კითხვის შესახებ, ქვემოდ მოგახსენებ: ერთმა უმაწვილმა, სამენარიანში მოსწავლემ წარმოსთქვა ქადაგება ერთ მახლობელ სოფლის ეკკლესიაში განიცადენის დროს, ქადაგება იყო რიგიანად დაწყობილი, ჭაზრით წარმოთქმული, ბევრზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იმა უმაწვილის ქადაგებამ; მაგრამ ზოგიერთებ შორის აღზრა ამ ქადაგებამ დაბარაკი მაზე, რომ საერო პირს შეუძლია ქადაგება თუ არა ეკკლესიაში განიცადენის დროს, გინდ მღვდლის ნება დართვით, გინდ დაურთველად. რადგან აქაური არა მქონდა მაზე, რომ მღვდლის ნებართვით შეეძლო საერო პირსაც ექადაგნა, ამიტომ კითხვა კითხვის განმარტება საზოგადოთ სიტნობლად და კითხვის აღმძრელ საზოგადოების გასაგონად, შეუძლია თუ არა საერო პირს მღვდლის ნებადაურთველად წარმოსთქვას ქადაგება განიცადენზე? მქონდა რა სახეში, რომ საზოგადოთ ესრეთი კითხვები გარდასწყვეტენ სასულიერო გაზეთში და კიდევაც საქმო კითხვები თქვენ გაზეთში გარდწყვეტილა. ეს იყო ჩემი მიზეზი და არა ის რასაც თქვენ მწერთ. მეორე პასუხის შესახებ, კითომც მე მღვდლის სარეს დატინვით ბატონს ვეძახდე, თითქო მღვდლის სარეს ვეძრული რაზე ადებ მიტევობითი (სარეს.) ხელობა იყვეს.—ამაზე, მაძლო რედაქტორო, თავდაბლად და ღმობიერებით მოგახსენებთ: სწორედ ძალიან მაკირვებს თქვენი მსჯელობა,—ნუ თუ წარმოსდგენია, რომ მარტო ბატონის ესე იგი ეკლესიის უფლების შეძენისა მხოლოდ იმოგოს ეს დიდი და უბოლო, უმაღლესი ხარისხი კაცმა; მე ამ სიტყვით მღვდლის ხარისხს კი არ შევხებივარ და შემიბღალავს, არა მე შეგეს—იმ უფლებას ან სიბეთს, რომელითაც ზოგიერთებს თავი მოსწონთ ესე იგი შეეხე დიბლომს, ატესტატს მოწმობას, ზოგნი ამ ნაირი საუნჯის მექონენ—განიძახიან ჩვენ ესა და ეს სასწავლებელი ან მაღალი ან მდაბალი შეგასრულეთ და კიდევაც ვართ დაჯილდოებული ატესტატით თუ მოწმობით, მიღებული განათლებით ბრაკტიგულად არ სარგებლობენ. მაინ განათლება დახურულია, აი ამისათვის მოგახსენე ერთი ერინი სიტყვა არ წარმოითქმება მეთქი და თავი კი მოსწონს ატესტატით თუ სხვა რამე უფლებით. მე ამისთანა მღვდლის ეოფაქტევაზე მქონდა მსჯელობა და არა მღვდლის სარისხზე და ღირსებაზე. ხოლო რაიცა შეესება მას რომ ვითომც მე მღვდლის სარისხს ბატიკვს არა ვსცემდე, ამაზე მოგახსენებ, მაძლო რედაქტორო, მე თვითონ მღვდლის შვილი ვახლავარ, მაძაც ცოცხალი მყავს. როდესაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი შეგასრულე, სოფლის მასწავლებლად დავინიშნე თავი, ფიქრად ის მქონდა, რამოდენიმე წლის დამსახურების შემდეგ მასწავლებლობის წრეში, მე მსურდა თავი ჩემ მღვდლათ შემეწირა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები და შენიშვნები.

ᲨᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲑᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲢᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲓ, ᲛᲗᲚᲐᲓ ᲛᲝᲠᲩᲐ.

***

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲑᲚᲐᲚᲝᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ «ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲔᲑᲨᲘ.

***

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲐᲢ. ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲐᲢ. Ა. ᲜᲐᲢᲠᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ.

***

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘᲓᲐᲛ, ᲐᲠᲐ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ ᲒᲕᲘᲥᲐᲓᲘᲡ.—ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲨᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ...

***

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ—22 №-ᲨᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲐᲠᲘ ᲡᲝᲕᲔᲢᲜᲘᲙᲘ Ბ. ᲡᲘᲛᲝᲜ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔᲛ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ 5000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲐᲓ. ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲡ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ. ᲪᲜᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲖ. «ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲓᲒᲐᲜ»:

„4 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘᲕᲔ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲕᲔ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲐ. ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲯᲘᲗᲝᲑᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲨᲔᲘᲫᲠᲜᲐ: ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ. ᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲣᲚᲚᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓᲒᲐᲜ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲣᲤᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ. Ს. Ს. ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔᲛ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲡ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲐ ᲮᲣᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲔᲡ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ 5%-ᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲒᲔᲑᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡᲐᲛᲔ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ—ᲐᲗᲐᲗᲐ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ. ᲐᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲛᲬᲔᲝ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲢᲝᲕᲐ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲡ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲣᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ. ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲣᲙᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲡ ᲐᲠᲥᲘᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲡ ᲞᲐᲚᲚᲐᲓᲘᲡ».

ᲫᲚᲘᲔᲠ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲛᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲡᲔᲗ ᲞᲘᲠᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲫᲓᲔᲜᲘ ᲛᲔᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲛᲔᲢᲔᲑᲘᲝᲡᲗ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲬᲠᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓ ᲗᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და გეთილ-ზნეობაზედ.

ცხოვრება წმ. დიდებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღვთის-მეტყველისა.

ერთხელ უფალმა იესო ქრისტემ გაიარა ტიბერიადის ზღვასთან და დაინახა ორი ძმა. იაკობი და იოანნე, რომელნიც თავის მამასთან, ზებედესთან, ერთად აკერებდენ თევზებსა; ზებედე და მისი შვილები მეთევზენი იყვნენ. მაცხოვარმა დაუძახა იაკობს და იოანნეს; მათ დატოვეს ყოველივე და გაჰყვნენ ქრისტეს.— რადგან იაკობი და იოანნე განსაკუთრებით სიყვარულს გრძნობდენ მაცხოვრის სულისადმი, ამიტომ უფალმა უწოდა მათ ძედ ცეცხლისა. ამ დღიდგან იაკობი და იოანნე არ მოშორებიან ქრისტეს. იგი პეტრესთან ერთად დაესწრო იაიროზის ქალის მკვდრეთით აღდგინების დროს; იყვნენ ქრისტესთან ფერისცვალების დროს თაბორის მთაზე. უფლის ენების წინათ იყვნენ მასთან გეთსამანიის ბაღში. იოანნე განსაკუთრებით უყვარდა იესო ქრისტეს. საიდუმლო სერობის დროს იოანნე იჯდა მაცხოვრის გვერდით, და როცა იესო ქრისტემ თქვა: ერთი ჩემი მოწაფეთაგანი გამცემს მე, იოანნე მიუახლოვდა ქრისტეს და ჰკითხა, თუ ვისზედ ლაპარაკობდა მაცხოვარი. და ბოლოს, უფალმა იესომ თავის სიკვდილის წინ, დაინახა რა ჯვართან ყოველად წმიდა ქალწული მარიამი და იოანნე, რომელიც მას განსაკუთრებით უყვარდა, ჩააბარა მას თავის დედა. ქრისტემ რქვა თავის ყოველად წმიდა დედას: «აი ძე შენი! და მოწაფეს: «აი დედა შენი!» იოანნემ წაიყვანა თავისთან ყოველად წმ. ღვთის-მშობელი და, ემსახურებოდა მას, როგორც დედას მისი უკანასკნელი მიძინების დროამდე.

მარიამ მაგდანინელი, რომელიც შაბათს ალიონზე მივიდა უფლის საფლავთან და ვერ იხილა მასში გვამი უფლისა იესოსი, საჩქაროდ დაბრუნდა უკანვე, რომ ეს ამბავი შეეტყობინებია პეტრეს და იოანნესათვის. პეტრე და იოანნე მაშინვე გაჰყვნენ მარიამ მაგდანინელს სასაფლაოზე. იოანნე შევიდა ქრისტეს სასაფლაოში და პირველმა იწამა ქრისტეს აღდგომა. თაეის აღდგომის შემდეგ უფალი გამოეცხადა მოწაფეებს ტიბერიადის ზღვაზე. იოანნემ ყველაზე პირველად იცნო მაცხოვარი და სხვებს უთხრა: «ეს არის უფალი!» უფლის ამაღლების შემდეგ იოანნე სხვა მოციქულებთან ერთად სცხოვრებდა იერუსალიმში, ლოცულობდა ტაძარში და მიიღო ნიჭი სული წმიდისა და ენათა ცოდნა. ამ დღიდგან იგი გულმოდგინეთ ქადაგებდა ქრისტეს სახარებას და აქრისტიანებდა იუდეველებს და კერპთ-თაყვანის მცემელთ. ერთხელ, როცა ის პეტრესთან ერთად მიდიოდა სალოცავად, მათ შემოხვდათ ერთი დაბადებიდგან კოჭლი კაცი, რომელმაც სთხოვა მოწაფეებს საბოწყალო. მოციქულებმა სიტყვით განკურნეს იგი. ამ სასწაულმა მრავალი ხალხი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. ეს გაიგეს იუდეველების საბლოცველოების უფროსებმა და მღვდელ-მთავრებმა და დაატყვევეს მოწაფენი; შემდეგ იგინი განათავისუფლეს, მაგრამ მათ აღუკრძალეს ქრისტეს სიტყვის ქადაგება; მოწაფენი მიუხედველად მღვდელ-მთავრების მუქარისა, ერთგულად ასრულებდენ ქრისტეს შრძანებას და ქრისტეს მორწმუნეთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა.

მოციქულებზე სულის წმიდის მოფენის შემდეგ იოანნე სცხოვრებდა ყოველად წმიდა ღვთის-მშობელთან. ჭალწულის მიძინების შემდეგ, იოანნემ წაიყვანა თან თავისი მოწაფე პროხორი და წავიდა მცირე აზიაში სახარების საქადაგებლად. ზღვაზე მათ მოასწრო საშიშარმა ქარიშხალმა; ხოლმადი დაიმსხვრა; მაგრამ იოანნე და პროხორი სასწაულებრივი სახით გადარჩენ და ზღვამ გამოაგდო ისინი ნაპირზე. მაშინ წმიდა იოანნე და პროხორი წავიდნენ ქალაქ ეფესში. რადგან მათ არასფერი არ გააჩნდათ, ამი-

ტომ იგინი დადგნენ მოსამსახურედ ერთს სახლში. მათი ბატონები იყვნენ კერპთ-თაყვანისმცემელნი და მოწაფეებს სასტიკად ეპყრობოდენ: მეტად ძნელ სამუშაოებს აძლევდენ და მასთან სასტიკად სჯიდენ მათ, მაგრამ იოანნე და პროხორი მოთმინებით იტანდენ ყოველივეს და გულსმოდგინეთ მაახურებდენ. ამ სახლში გარდაიცვალა ერთი ახალგაზდა კაცი, ძე ქალაქის ერთი უფროსისა; მამა გარდაცვალებულისა დიოსკორიდი ისე შეაწუხა შვილის სიკვდილმა, რომ ისიც უეცრად გარდაიცვალა. ამ ამბავმა შეაწუხა ყველანი. აქ ღმერთმა მოუკლინა წმ. მოციქულს იოანნეს თავის მადლი. იგი შეევედრა ღმერთს, და ღმერთმა აღადგინა დიოსკორიდი და მისი ძე. ამ სასწაულმან ისე გაანცვიფრა ყველანი, რომ იოანნეს ზოგი სთვლიდა თვალ-მაქცად, ზოგნი ღმერთად და ზოგნი ღვთის ძედ; მაგრამ წმ. იოანნემ განუმარტა ხალხს, თუ ვისი ძალით ჩაიდინა მან ეს სასწაული და მასთან უქადაგა ხალხს ქრისტეს სარწმუნოება. მრავალმა ირწმუნეს ქრისტე და მოინათლენ. მათ რიცხვში მოინათლენ სახლის პატრონი ქალი, და დიოსკორიდი თავისი ძით. მათ ურჩიეს მოციქულს გადასახლებულიყო იგი მათთან, რომ უფრო ვრცლად ესწავლებია მათთვის ღვთის სჯული.

ამ სასწაულის შემდეგ მცირე აზიაში დაიწყო სახარების ქადაგება. ქრისტეს სარწმუნოება წარმატებით გავრცელდა. ამ კეთილს საქმეს ხელს უწყობდა მრავალი სასწაულები და თვით მოციქულის კეთილი მაგალითი. იოანნე ასწავლიდა სიტყვით და საქმით. იგი ცხადათ უჩვენებდა ყველას, თუ როგორი უნდა იყვეს ქრისტიანე. წმ. იოანნეს მოქმედება აცნობეს რიმში იმპერატორს დომიციანეს, რომელიც სასტიკად სდევნიდა ქრისტიანებს. მან მიიხმო თავისთან იოანნე და, როცა დაინახა, რომ იგი მტკიცედ ადგა თავის სარწმუნოებას, დაუწყო მას წვალება: დაალევინა მას მოწამლული სასმელი და ჩააგდო იგი ქვაბში, რომელშიაც დულდა ერბო. მაგრამ იოანნე მრთელი და უვნებელი დარჩა; მასზე აღსრულდა სიტყვა უფლისა, რომელმაც სთქვა თავის მოწაფეებზე: **და დათუ სასიკვდილნი რაიმე სვან, არა რაი ავნოს მათ** (მათ. 16, 18). მათ, რომელნიც კი დაესწრენ ამ წამებაზე, დაიყვირეს: «დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთა!» ამის შემდეგ დამიციანემაც ხელი აიღო იოანნეს წამებაზე და გაგზავნა იგი პატმოს კუნძულზე, მცირე აზიის ნაპირების მახლობლად.

იოანნე შეკრული წაიყვანეს კუნძულზე. მოგზაურობის დროს მან მოახდინა მრავალი სასწაულები, რომელთაც მოაქციეს ქრისტეს სარწმუნოებაზე ყველა მისი თანამოგზაურნი

წმ. იოანნეს პატმოს კუნძულზე ყოფნამ მოაქცია იქაური მკვიდრნი ქრისტეს სარწმუნოებაზე. რამოდენიმე წლის განმავლობაში წმ. იოანნემ გაანათლა ისინი ქრისტეს სწავლის ნათელით. წმ. მოციქული არ შურავდა თავის შრომას, იგი დაუღალავად დადიოდა კუნძულზე და ჰქადაგებდა წმ. სახარებას, ჰკურნავდა ავად-ყოფებს და შეკრებდა მრავალ სასწაულებს. თავისი მაგალითით იგი უჩვენებდა ყველას მაგალითს მორჩილებისას ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულისას და აქრისტიანებდა ხალხს ქრისტეს სარწმუნოებაზე როგორც თავისი ცხოვრების კეთილი მაგალითებით, ისე სიტყვით და სასწაულებით.

წმ. იოანნემ დაითმინა მრავალი უბედურება და დევნა. ამ კუნძულზე წმ. იოანნეს მისვლამდის ყველა იქაურნი მკვიდრნი იყვნენ კერპთ-თაყვანის მცემელნი. მრავალნი სარგებლობდენ ხალხის ამაოდ მორწმუნეობით, თავის თავს რაცხდენ მოგვებად და ხალხი ხელში ეჭირათ. ამ მოგვებმა შეიძულეს წმ. იოანნე, რადგან იგი ამხილებდა მათ ცუდ საქციელს და მასთან დღითი დღე მრავლდებოდა ქრისტეს თაყვანის მცემელნი. ერთმა მოგვთაგანმა ნუკიანემ განიზრახა მოციქულის დალუპვა. მან ცილი დასწამა მოციქულს და მრავალი ხალხი აუჯანყა მას. ხალხს უნდოდა მოეკლა იოანნე; სიცრუე მალე გამოაშკარავდა, ხალხი გაბრაზდა, დაიჭირა თვითონ ეს მოგვი და მიგვარა იოანნეს და უთხრა: «ამ ბოროტ მატყუარს უნდოდა შენი დალუპვა. მაგრამ აი იგი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვი რჯანეთ, თუ როგორ მოვეპყრათ მას!» «გაუშვით იგი, მოინანოს,» მშვიდად მიუგო მოციქულმა, რომელსაც ახსოვდა მაგალითი და სიტყვანი ღვთაებრივი მასწავლებლისა, რომელმაც ჯერ-ანა მიტევება მტერთა.

წმ. იოანნეს მორჩილებამ მაინც ვერ იმოქმედა ნუკიანეზე. მეორე დღესვე მან დასწამა ცილი წმიდა იოანნეს. მაშინ კი გადასწყვიტა იოანნემ მისი დასჯა. იოანნემ მოაკლო მას მხედველობა. და ბოლოს ნუკიანე მოვიდა გონზე, მოინანა თავისი შეცოდება, დავარდა მოციქულის ფერხთა წინაშე და სთხოვდა მას მოტევებას. იოანნემ დაუბრუნა მასს მხედველობა და შემდეგ, როცა დაინახა მისი მონანება, ნათელი სცა მასს და მასთან ერთად წავიდა მის სახლში. როგორც კი შევიდა მოციქული ნუკიანეს სახლში, ყველა კერპები, რომელნიც კი ნუკიანეს სახლში იყვნენ, ჩამოვარდენ ძირს და დაიმსხვრენ. ნუკიანეს ყველა შინაურები, როცა მათ დაინახეს ეს სასწაული, მოიქცნენ უფლისადმი.

რომის იმპერატორის დომიციანეს სიკვდილის შემდეგ რომის ტახტზე ავიდა ნერვა, რომელიც იყო კეთილი ხელმწიფე; მან მოსპო დევნა ქრისტიანების წინააღმდეგ, და იოანნეც განათავისუფლეს. წმ. იოანნემ განიზრახა ეფესში წასვლა. როცა პატმოსის მცხოვრებლებმა გაიგეს წმ. მოციქულის განზრახვა, მეტად შესწუხდენ, რადგან ისე უყვარდათ წმ. იოანნე, რომ მისი მოშორება ეძნელებოდათ. ყველა მცხოვრებლები შეიკრიბნენ იოანნესთან და სთხოვეს მასს წმიდა სახარების დატოვება, რომ მათ უიმისოთაც შესძლებოდათ საღმრთო წერილის შესწავლა. ეს საჭირო იყო, რადგან ამ დროს გამოჩნდენ ცრუ-მასწავლებელნი, რომელნიც სულ სხვა ნაირად ასწავლიდენ ხალხს იესო ქრისტეს ღვთაებაზე. იოანნემ დაუნიშნა პატმოსის მკვიდრთ მარხულობა, წაიყვანა თან პროხორი, ავიდა მაღალ მთაზე, სამი დღე და ღამე გაატარა იქ ლოცვაში და მარხულობაში. მესამე დღეს უცრად მიწა ინძრა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ატყდა გრუხუნი და ელვა. პროხორი შეშინებული დაეცა მიწაზე; იოანნემ წამოაყენა იგი და გვერდით მოისვა, უბრძანა დაეწერა ყოველივე, რასაც იგი ეტყოდა მასს. შემდეგ იოანნემ აიხედა მაღლა, შეეევედრა ღმერთს და სულის წმიდის შთაგონებით დაიწყო სახარება შემდეგი სიტყვებით: «პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი». პროხორმა დასწერა ეს სიტყვები, და ამ სახით იქმნა დაწერილი იოანნეს წმიდა სახარება, რომელიც სხვა მახარებელთ სახარებაზე განსხვავდება სწავლის სიმაღლით. ამიტომ წმ. მახარებელი იოანნე წოდებულ იქმნა ღვთის-მეტყველად. პატმოსის კუნძულზევე, სული წმიდის შთაგონებით იოანნემ დასწერა «განცხადება» რომელშიაც წმ. მოციქული საიდუმლო სახით წინასწარმეტყველობს კაცობრიობის მომავალზე და ქვეყნის დასასრულზე. როგორც ფიქრობენ, იოანნე წინასწარმეტყველმა თავის სახარება დასწერა 102 წელში ქრისტეს დაბადების შემდეგ.

წასვლის წინ ერთი კიდევ მოიარა წმ. იოანნემ მთელი კუნძული, დაარიგა და გაამხნევა მორწმუნენი. შემდეგ გაემგზავრა ეფესში, სადაც მოციქულის მისვლამ აღძრა სიხარული ყველა ქრისტიანების გულში. ყველა მკვიდრნი შეეგებენ მოციქულს გზაზე და შესძახეს: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!»

სიკვდილამდის წმიდა იოანნე დარჩა მცირე აზიაში და განაგრძო მისგან დაწყებული საქმე. იგი ასწავლიდა და ქადაგებდა მცირე აზიის ყველა მაზრებში, ქალაქებში და სოფლებში და მრავალი ხალხი დააყენა ჭეშმარიტ გზაზე თავისი სიტყვით სასწაულებით და თავისი კეთილი ცხოვრების მაგალითით. მრავალი მისი მოწაფენი გაითქვენ თავიანთი წმ. ცხოვრებით. როგორც ვხედავთ წმ. იოანნე ღრმა მოხუცებულობამდის არ ზოგავდა თავის შრომას, იგი ასწავლიდა და ქადაგებდა. როცა წმ. მოციქული ისე მოხუცდა, რომ დიდის ხნობით აღარ შეეძლო ხოლმე ქადაგება, იგი ხშირად უმეორებდა თავის მოწაფეებს შემდეგ სიტყვებს: «შვილებო, გიყვარდეს ერთი ერთმანერთი!» ერთხელ მოწაფეებმა ჰკითხეს მასს: მასწავლებელო, ასე ხშირად რად გვიმეორებთ ამ სიტყვებს?» იოანნემ მიუგო: «ეს არის მცნება უფლისა; ამ მცნებას შეუძლია სხვაებ ის მაგიერობა გაგიწიოს თქვენ.

წმ. იოანნემ იცხოვრა 100 წელიწადზე მეტი, ბოლოს იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, წაიყვანა თან რამოდენიმე თავისი მოწაფენი, მათ რიცხვში თავისი საყვარელი მოწაფე პროხორი, და გავიდა ქალაქ გარეთ. წმ. იოანნემ უბრძანა მოწაფეებს გაეთხარათ სასაფლაო; შემდეგ შეკრიბა იგინი, მისცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ უკანასკნელი დარიგება, აკურთხა იგინი, შემდეგ ჩაწვა საფლავში და განუტევა სული თვისი.

წმ. მახარებლის სიკვდილის შემდეგ, იმის სასაფლაოდამ ამოდიოდა ყოველ წლობით, 8 მაისს, წმიდა მტვერი, რომელიც ჰკურნავდა მათ, რომელნიც სარწმუნოებით მიდიოდენ წმიდა მოციქულის საფლავთან. ამიტომ წმიდა ეკკლესია მეორედ დღესასწაულობს წმ. იოანნეს ხსენებას 8 მაისს.

წმ. იოანნემ სახარების გარდა დასწერა «განცხადება» და სამი მსოფლიო ეპისტოლე. ეპისტოლე არის წერილი, რომლებსაც სწერდენ ხოლმე მოციქულები ქრისტიანებს, რომ განემტკიცებიათ ისინი სარწმუნოებაში და განემარტებიათ მათთვის ღვთის სჯული. წმ. იოანნეს ეპისტოლებში ცხადათ გამოსჩანს თავმდაბლობა ღვდისადმი და მოყვასისადმი სიყვარული, რომლითაც განსხვავებული იყო წმიდა იოანნეს მთელი ცხოვრება. წმ. მოციქული მუდამ უმეორებდა მორწმუნეთა ღვთის მოწყალებაზე, რომელიც მოგვიტევებს ჩვენ ცოდვებს თავისი მოწყალებისა გამო და ჩვენთვის იესო ქრისტეს დანთხეული სისხლისათვის.

საეჭვო კითხვების განმარტება.

ბარდაცვალებულთა მოხსენების დროს რიგია თუ არა მოიხსენონ გარდაცვალებულის წოდება და თანამდებობა?..

ამ კითხვის შესახებ დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთის სამღვდელოებაში აღიძრა განმარტება და აღიხსნა; რომ მიცვალებულის მოხსენების დროს სრულებით საჭირო არ არის მათი წოდების და თანამდებობის: «თავადი, აზნაური, ბოდგოკინა ანუ გენერალის» მოხსენება. მოხსენებაში საჭიროა მარტო სახელი გარდაცვალებულისა. ამის შეტის მოხსენება ამტკიცებს გარდაცვალებულის ნათესავების პირში მიფერებას და პატივისცემას, დაფუძნებულს ანგარებაზედ...

შეუძლია თუ არა ვისმეს მამა-პაპის სეული ადგილ-მამული შესწიროს ეკკლესიას, ან მონასტერს?

საფუძველსა ზედა მეათე ტომის 980 მუხლისა სამოქ. პირველ ნაწ. კანონთა, გამოცემულის 1857 წ. არა ვის არ შეუძლია მამა-პაპის სეულის ადგილის გასჩუქრება და შეწირვა.

აქვსთ თუ არა უფლება ბერებს ადგილ-მამული ანუ სხვა ქონება შეძინონ?

არავითარი მამულის და ქონების მოპოება ბერებს არ შეუძლიათ არც პირობით, არც ნასყიდობით და არც მემკვიდრეობით. რაც ქონება აქვსთ მამა-პაპის სეული ანუ კეთილ შეძენილი ბერად შედგომამდისინ უნდა გადასცენ კანონიერ მემკვიდრეებს. თუ ეს არ შეუსრულებიათ მათ ბერად შედგომამდისინ, მაშინ თვითონ მისი მემკვიდრენი, მისდაუნებურად, დაიფლობენ მის მამა-პაპისეულს და კეთილ-შეძენილს. თუ რამე შეუძენიათ პირობით და სხვა რაიმე საშუალებით უძრავი ქონება, ყველას დასაკუთრება შეუძლიათ მის მემკვიდრეებს კანონით.

ანნას ორდენის მესამე ხარისხის და დეკანოზობის ხარისხის მიღება დაჯილდოების რიგში ჩასათვლელია, თუ არა?

ანნას ორდენის მესამე ხარისხის მიღება დაჯილდოების რიგში არ ჩაითვლება, თუ ვისმეს ეძლევა იგი თორმეტი წლის სამსახურისათვის. აკრეთვე არ ჩაითვლება დეკანოზობის ხარისხის მიღება ჯილდოს რიგში, როდესაც ეს ხარისხი ეძლევა მღვდელს ადგილისამებრ. თუ სამსახურისათვის მიეცა ვისმეს დეკანოზობის ხარისხი, მაშინ დეკანოზობის ხარისხის მიღების შემდეგ, ვიდრემდი სამი წელიწადი არ გასრულდება, არ შეიძლება შემდეგ ჯილდოს წარდგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა — საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირულება.

დავით ალმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწ. დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოვებლად ჩვენ მივიღეთ შეწირულება შემდეგ პირთაგან: მღვდლის იოანნე ლაბაძისაგან 3 მ., ყვირილის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველის ოშაინ იოსების ძის იოსელიანისაგან 7 მანეთი. ამ ფულებში 3 მანეთი შემოუწირავს თვითონ ბ. იოსელიანს, 3 მ. მასწავლებელს თეოფილე ხუსკოვაძეს და ერთი მანეთი სალმრთო სკოლის მასწავლებელს რიფეულ ჩიხლაძეს; შეორე გიღდის ვაჭრის იორდანე ცერცვაძისაგან ერთი მანეთი. და სრულიად: 11 მანეთი.

რედაქციის პასუხი.

მღვდ. ა. არ—ვ ელს. ყველა ეკლესიების შესავალ-გასავლის ანგარიში რომ ვბეჭდოთ, არა თუ ჩვენი გაზეთი, არამედ მთელი ქვეყანაც ვერ დაიტევს მათ.

დეკანოზს ს. ან—ძეს. თქვენი წერილი მართლა შესანიშნავი და საყურადღებოა. ყველასათვისს გასაკვირელია ზოგიერთი პირების არარაისათვის დაჯილდოება მაშინ, როდესაც უფრო სასარგებლოდ მოსამსახურე პირნი დაუჯილდოებლად რჩებიან. თქვენი წერილით ვისარგებლებთ მწარე ფიქრების გამოთქმის დროს.

მღვდ. იოანნე კან—ვას. მეზობელი მღვდლის ავად-მყოფობის დროს ანუ დათხოვნის დროს მახლობელი მღვდელი უსასყიდლოდ უნდა ემსახუროს მის მრევლს.

პრიჩ. ვასილ რატიანს. დრო არა გვაქვს, რომ თვითეული ნივთის ფასზედ მიწერ მოწერა გავმართოთ. ამიტომ პასუხს ნუ ელით.

ვ ი ნ მ ე მ ე ო ბ ი. თქვენი კითხვები საპასუხოდ არა ღირს. სოფლის მამასახლისისათვის ანუ მისი მწერლისათვის რომ გეკითხათ, ისინიც კი განმარტებდენ თქვენს კითხვებს.

მიიღება ხელის-მოწერა 1890 წლისათვის ორკვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზედ“

და

რუსულ «ПАСТЫРЬ» ზედ

მიზანი და დანიშნულება ამ ზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და ძღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და სახოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და ჭეშმარიტება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 »	— „ ორივე გამოცემა 4 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

რედაქცია იმყოფება ქ. **თბილისში** ოქროშჭედლების ქუჩაზე № 20, **რედაქტორის** საკუთარ სახლებში.

რედაქციას აქვს **კანტორები**: ქ. **ქუთაისში** ხანაანაშვილების სახლებში და ქ. **ყვირილაში** **რედაქტორის** საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **რედაქციაში**, ისე **კანტორებში**.

გარეშე მცხოვრებთა **გაზეთის** დაბარება შეეძლიათ ამ **ადრესით**; **Въ Квирилы, въ контору редакціи „МІЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

1/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

12 თვით . .	10 მ.—კ.	6 თვით . .	6 მ.—კ.
11 „ . .	9 „50»	5 „ . .	5 „25»
10 „ . .	8 „75»	4 „ . .	4 „75»
9 „ . .	8 „—»	3 „ . .	3 „50»
8 „ . .	7 „25»	2 „ . .	2 „75»
7 „ . .	6 „50»	1 „ . .	1 „50»

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. ბანცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი ბანცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1-ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები თუ საჭიროება